საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. სამშაბათი 4 მარტი 1919 წ. ბრძოლა-ბარიკადებზე ამოდგა ამ-ბავი-ბოლოთა

ბრძოლა

ფასი 75 კაპ.

გან ა ლ ბ ა: 1 ფურცელი 18 მანეთი ცალკე ნომერი ეღირება 75 კაპ. განცხადებების ფასი, რაოდენობაც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე ბეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ ბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიათა მასალას რედაქცია არ ინახავს, აგტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც პასუხს აძლევს.

ხელის მოსაწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გან. „ბრძოლის“ რედაქცია სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრეოსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 50 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 50

უბედური მშობლები ლუკა და ფოტინე, ძმები კანდიდო და გაიოზ, და დუკლიტა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი პირველთა შვილი და მეორეთა ძმა

ამვროსი ლუკას ძე ნულაძე

დაკრძალვა მოხდება ღღეს საშაბათს 4 მარტს ს. ჭ ნეაოში (აურია)

ღრმად დაზაფრულნი მეუღლე სამსონ ნოზაძე, დედა მარიამი, მამა კონსტანტინე, ძმები: ვლადიმერი და პორფილე, და ოლღა თელიანები, შვილი გიორგი ნოზაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

ანნა კონსტანტინეს ასული ნოზაძისას

პანაშვიდი ღღეს საღამოს 5 საათზე შვიდისა № 16 (სოლოლაკი) დასაფლავება 6 მარტს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულს ბინიდან წაასვენებენ ამაღლების ეკლესიაში და აქიდან წირვის შემდეგ სასაფლაოზე. (1—1)

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის თფილისის კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს დაოლალავ პარტიული მუშაკის ამხ.

ივანე (ვანო) ნიკოლოზის ძე გოგოლაშვილის

გარდაცვალებას. დაკ ძალვა ოთხშაბათს, 5 მარტს, 12 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან. (1—1)

გამოუთქეელ აზუზარებაში აყენებ: მშობლები ბ ჭალო დავითის ძე ჩიქოვანი და ფაქიზო მიქელაძისა ასული; დები: შუშე, პაშა და გუგულია ჩიქოვანის ასულნი; ძმები: გუჯუ და ვანო ბიჭ ლოს ძე ჩიქოვანები ამით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ 28 თებ. ქ. ზუგდიდში ტრადიციულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

დათიკო ბიჭილოს ძე ჩიქოვანი

დასაფლავება მოხდება სოფ. ნიუაკოეოში (აბაშის რაიონი) ოთხშაბათს, 5 მარტს (ახ. სტ.).

ღრმად დამწუხრებული, გულ დაწყვეტილი დატოვებულნი შვილები: კონსტანტინე, დავითი, მარიამი და ელენე, რძალი სოფიო იოსების ასული ბოკასაშვილი, სიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბახუტაშვილი და მეული ეკატერინე გულაბიზოვა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 2 ს. ამა მარტს გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და საყვარელი: პირველისა დედა, მეორის დედაშვილი, მესამის სიდედრი და უკანასკნელის რძალი

ნატალია იოსეგის ასული გუკასაშვილისა

პანაშვიდი სამშაბათს, მარტის ოთხს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 საათზე, ხოლო დასაფლავება ოთხშაბათს, პეტრე-პავლეს საასაფლაოზედ. წირვა ქვაშვეთის ეკლესიაში დაიწყება დილის 10 საათზე.

მართველოგის გამარტივება

დამფუძნებელ კრების მოლოდინში ბევრს ლაპარაკობენ მართველობის გამარტივების შესახებ. ეს საკითხი პირველად დასვა ჩვენმა პარტიამ, რომლის ბელადმა ნოე ჟორდანიამ ამის შესახებ ცალკე დასაბუთებული მოხსენებაც კი წაიკითხა პარტიულ ორგანიზაციების კრებაზე.

გამარტივების მოთხოვნა არ არის გამოწვეული მარტოოდენ სახელმწიფო აპარატის გაიაფების სურვილით, თუმცა სიიაფეც ერთგვარი ღირებულებაა თავისთავად. უმნიშვნელოვანესი ამ საქმეში ის არის, რომ სახელმწიფოებრივი აპარატი, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში ამდენათ მოქნილი და მარტივი იყოს, რომ საუკეთესოთ ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს.

დღევანდელი ჩვენი აპარატი კი სრულიად ვერ ამსახურება ამ თავის დანიშნულებას. ერთი მხრით ის ერთობ ტლანქი და მოუხეშავი, რადგან შექმნილია სულ სხვა პირობებში და სხვა მიზნების განსახორციელებლათ. მეორე მხრით ის იმდენათ დიდია, რომ სრულებით არ შეეფერება ჩვენი რეპუბლიკის ტერიტორიას, მითუმეტეს, რომ ჩვენში ეწყობა ერობა, რომელსაც წმინდა ეკონომიურ საქმეებს გარდა ბევრი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის საქმეებიც აქვს კანონით დაკისრებული. ყველაფერი ეს მხედველობაში მისაღებია და უზენესი ძალა უფლებით აღ ჭურვილ დაწესებულებას, დამფუძნებელ კრებას არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს ამ გარემოებას.

აპარატის უფარგასობასაც რომ თავი დავანებოთ, აღსანიშნავია ის, რომ დღეს ფაქტიურათ თითქმის არც ერთი დაწესებულება არ მუშაობს. ადმინისტრაციამ მოშლილია, ხოლო სასამართლო სრულებით დანგრეულია. რაც შეეხება საგადასახადო საბჭოს და საინტენდანტოს, ამათზე ლაპარაკიც კი მეტია: ხალხის თვალში ეს დაწესებულებები უთავბოლობის და ბოროტმოქმედებათა სინონიმებათ არის გადაქცეული. ყველა ამას ბოლო უნდა მოეღოს. და აქ საჭიროა მეტი სიმტკიცის და სისტემატიურ მოქმედების გამოჩენა, რადგან ბევრი ჩვენი დაწესებულება სავსეა ისეთი ხალხით, რომელსაც არა მარტო უნარი აკლია საქმიანობის, არამედ ხალისი და სურვილიც კი არ აქვს, რომ რაიმე გააკეთოს.

ამ საქმეში ერთ მთავარ ხელისშემშლელ პირობათ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, გაეროვნება უნდა ჩაითვალოს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო ღღეს თითქმის არაფერს არ აკეთებს: საქმეები მთელი თვეობით ჭიანურდება, ზოგი სულ არ ირჩევა, რადგან მოსამართლენი მცირე ნაწილის გარდა, დარწმუნებულნი არ არიან, რომ ადგილზე დარჩებიან და ამიტომ არც თავს იწუხებენ. ასეა ბევრს სხვა დაწესებულებაში, რომელსაც ნაციონალიზაცია უნდა ეწეოს. ეს გარემოება ძალზე აფერხებს საქმის ნაყოფიერებას. საჭიროა ნაციონალიზაციის საქმეში ერთგვარი სიმტკიცე და თანმიმდევრობა, რომ რაც გასაკეთებელია და აუცილებელი დროზე გაკეთდეს და რაყეგას და გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდეს. ბევრს და მათ შორის „ბრძოლის“ ჰგონია, რომ საქართველოს გაბახლება რევოლიუციის ცეცხლში გეიზვნა. მან დამბო ტახტი და მის ნანგრევ ქვეშ დაასამარა ნაშთი ბატონ-ყმობისა. ის, რაც მაშინ არ გადაიჭრა—გადასჭრა რუსეთის რევოლიუციამ.

დამარცხდა რუსეთის დიდი რევოლიუციაც და ის, რის დათავება მან ვერ მოასწრო, შესძლო საქართველოს დემოკრატ ამ. მან მოსპო ერთხელ და სამუდამოთ ბატონ ყმური ურთიერთობა, ჩამოართვა მიწა მემამულეებს და გადასცა მას, ვისაც ეკუთნოდა. გადასცა გლეხობას.

დღეიდან ამ კითხვას ადგილი აღარ ექნება ჩვენს ცხოვრებაში; დღეიდან ვერავითარი ჯოჯოხეთური ძალა ვერ შესძლებს მემამულეთა ბატონობის აღდგენას. დღეიდან მიწა მამული ერთგულ პატრონს აბარია და ჩვენ გვჯერა, ეს ახალი პატრონი პროლეტარიატთან ერთად თავს მფარველი და ბეჯითი შრომით, შესძლებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების აყვავება-განვითარებას.

განი.

ᲞᲠᲔᲡᲐ

„ᲟᲝᲠᲓᲝᲕᲝᲠᲓ ᲫᲐᲜ“ (№ 46) სთვლის ა ჯამალიანის დანშვნას სომხეთის დიპლომატიურ აგენტათ ოსმალეთში (ტამ ბოლში) სომხეთის მთავრობის მიერ მიუტევებელ ქცევათ და ამის გამო სწერს:

„სომეხ-ქართველთა საზაფხულო შეტაკება უკვე ისტორიას ჩაბარდა და ეხლა ორივე ერი საქართველოს სთვლის ახლო მომავალში განახლონ თავიანთი შეწყვეტილი მეგობრული დამოკიდებულება. უკვე აღძრულია საკითხი გამოძიება მოხდეს გამოსარკვევათ იმისა, თუ ვის ედება ბრალი ომის გამოწვევისა ორი ერის შუა და დამნაშავე მიეცეს სამართალში და დასაჯოს. თუ სომხების და ქართველების საზოგადოებრივი აზრები უკვე იძლევიან რამდენიმე სახელებს, რომლებსაც ბრალდება ეს სამწუხარო მოვლენა და მოითხოვენ ანგარიშს მათგან. და ის გარემოება, რომ აქამდე ეგ პირები არა თუ საყვედურთ თავისუფალნი არიან, არამედ—აწარმოებენ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივი საპასუხისმგებლო თანამდებობას, იწვევს დიდ და ღრმა აღშფოთებას ორივე ერის იმ წრეებში, რომლებსაც გულითად უნდათ, რომ განახლდეს კეთილ მეზობლური დამოკიდებულებანი და მივუჩინონ დამნაშავეთ დირსეული ადგილი.

„ორივე ერის აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრი ასაბუთებს დამნაშავეთ სხვათა შორის, აგრეთვე ირაკლი ჯამალიანს, სომხეთის ყოფილ დიპლომატიურ აგენტს საქართველოში, რომელიც ეხლა დაუნიშნავს სომხეთის მთავრობას სომხეთის დიპლომატიურ აგენტათ ოსმალეთში.

„ჩვენ არ გვინდა აქ გამოვიძიოთ, —მართალია რაც ბრალდება ჯამალიანს თუ არა, ხოლო ჩვენთვის ცხადია ის, რომ ერის რომელიმე ინტერესების დასაცავათ უნდა მთავრობა შორს დარჩეს პარტიობა გნით უფრო იმ შემთხვევაში, როცა არჩევს იმისთანა პირებს, რომლებიც სრულებით არ არიან გამოსადეგნი საქმისთვის და რომელსაც ერის სახელთან აერთებს იმისთანა უდიდესი ეროვნული კატასტროფები, როგორიც არის სომეხ ქართველთა უგნური სისხლის ღვრა.

„ჩვენ აქამდე არ ვიცით რამდენათ სამართლიანი არიან ის ბრალდებანი, რომლებიც წამოყენებულია ა. ჯამალიანის წინააღმდეგ, ჩვენ არ შეგიძლია ამის გამო ვთქვათ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა და დავუცდით საქმის გამოძიებას. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მანამ სანამდვილე არ გამორკვეულა და საზოგადოებრივი აზრი სდებს ბრალს ამა თუ იმ პირს, მიუტევებელია, რომ ასეთ პირს მიეცეს ახალი პასუხისგებით თანამდებობა.

„მიუტევებელია რომელიმე ქვეყნის მთავრობისთვის, რომ თავის დიპლომატიური წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოში იყვეს იმისთანა პირი, რომელს, სხვებთან ერთად, სთვლიან მობსდარი კატასტროფის საბაბათ და დანაშაულათ.

„მიუტევებელია საერთოდ იმით, რომ ეგ ფაქტი უტეხავს სახელს უპირველესათ იმ მთავრობას, რომელიც მას ენდობა და მერე რომ შეურაცხყოფას აყენებს იმ ხალხის ეროვნულ ღირსებას, რომლის წარმომადგენელია.

„და თუ ეგ არჩევანი არ შეიცვლება საქმის გამოძიებამდე, თუ ეგ დანიშვნა მოხდება დაშნაკელების მიერ იმისთვის, რომ პარტიობას ამ საქმეში დიდი როლი უთამაშნია, მაშინ სამართლიანათ შეიძლება დასძინოთ ამიერ-კავკასიის ერთი პოლიტიკური მოღვაწის სიტყვები: „თქვენ, დაშნაკელებო, მეტათ გიყვართ თქვენი პარტია, ვიდრე თქვენი სომხის ხალხი“.

რომ დაშნაკელებს თავის ზინვორები უფრო უყვარს, ვინემ სომეხი ხალხი, ეს სრული ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ჯამალიანი, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი ერთ უმთავრეს დამნაშავეთ სთვლის სომხეთ საქართველოს ომში, არ შეიძლება იქნას სომხის ხალხის წარმომადგენლათ. არ შეიძლება, მით უმეტეს, ოსმალეთში. მაგრამ გაიგონებენ კი „ᲟᲝᲠᲓᲝᲕᲝᲠᲓ ᲫᲐᲜᲘᲡ“ გაფრთხილებას სომხეთის ხალხის ღღეანდელი მესვეურები?

არ გვგონია..

ახალციხის აჯანყების გარშემო

გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ორი აპარელი—ქართველი მუსლიმანი—ხალვაში ყარადა (ორთაბალ უსიდან) და ბაბაშიძე თემური (ზემო-ბაჯრიდან), რომლებიც პირდაპირი მონაწილენი ყოფილან ახალციხის ამბებისა და შემდეგი გადმოგვცეს:

„ქობლიანისა და ფოცხოვის რაიონში დარჩენილია ბევრი ოსმალთა ასკერები, რომლებიც გადაცმული არიან ფოცხოვის მცხოვრებთა ტანისამოსში. მათი მეთაურებია ოსმალოს ფაშები და აფიცრები, რომლებიც სტამბოლში ვერ დაბრუნებულან, რადგანაც ესენი მომხრე იყვნენ ენვერ-ფაშის და ამ უკანასკნელის მიმდევართ კი იქ ძალიან სდევნიან. ამ დარჩენილ ფაშებს დახმარებას უწევენ სტამბოლიდან და მათ მხარეზეა ადგილობრივი ბეგები, რომელთა სათავეში სდგას სერვერ-ათაბეგოვ-ქობლიანსკი. მათგან 7 თებერვალს მოვიდენ დელეგატები და უთხრეს მაზნიაშვილს, (რომელთანაც იმყოფებოდა აგრეთვე ყადრ-ბეგ შერვაშიძე), რომ სროლის შეწყვეტა ინებონ. ჩვენ ინებეთ. ეს ამბავი ადრე ეცოდინა ენვერ-ფაშასთან და იქ გადაგვეცა მათთვის, რომ ნუ არ ლვენ სროლას. მათთან მივა ინგლისის აფიცერი და ჩვენი დელეგატებიც და შესწყვეტენ სროლას თუ არაო. ჩვენ მივედით ს. ხაროში და მოვითხოვეთ ქობლიანელების უფროსი, რომ გადაგვეცა მათთვის რაც დაგვავალეს. უფროსი არ გვაჩვენეს. მოვიდა ერთი მოლა (რომელიც ადგილობრივი მცხოვრები იყო) და გვითხრა, რომ ის არის ყარსის მთავრობის წარმომადგენელი და მისთვის გადაგვეცა ყველაფერი. ჩვენ მოვითხოვეთ უფროსი. მაშინ გვითხრეს, რომ იარაღი მოგვეხსნა და ცხენებიც მათთვის გადაგვეცა და მაშინ გვ.ჩენენ? დნენ უფროს'. ჩვენ დავთანხმდით. მაგრამ მაშინვე შემოგვერტყნენ და დაგვიწყეს მუქარა, რომ ჩვენ დასაბუქტები ვართ. ჩვენ ეს ალალი ვაჩვენეთ, რომ დელეგატები ვიყავით, მაგრამ წაგვიყვანეს ფოცხოვისკენ ს. ბედელაში და იქ დაგვამწყვდიეს ციხეში. ამ ციხეში ვიყავით 9 დღე და ღამე. თუ რა ხდებოდა ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არაფერი ვიცოდით. მეათე დღეს მიგვიყვანეს უფროსებთან და გამოგვიცხადეს, რომ ჩვენ ყარსში გაგვგზავნიდენ შევფეკ-ფაშასთან და იქ გაგვასამართლებდენ და დაგვხვრეტდენ, როგორც ქრისტიანების მოხსენებს. აქვე კარგათ გავიგეთ, რომ ამ ძალებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი ბეგები და დარჩენი ოსმალები: ხუშურ-ბეი, მფიდინ ბეი, ხულუს ეფენდი, სულეიმან ეფენდი, მამედ ბეი და სხვანი. ჩვენ გაგვაყოლეს ორი ასკერი და გაგვგზავნეს ყარსში. ერტაანისა და ფოცხვის საზღვარზე დაგვლოდნენ და ერთ სახლში გავჩერდით, ერთ ოთახში. აქ ხელ ფეხი გაგვახსნეს და საკმელი მოგვეცეს. მცირე ხანით წაგვეძინა. მალე ერთს ჩვენგანს გამოეღვიძა და ნახა, რომ ერთ დარაჯს ეძინა და მეორე კი სთვლემდა. წამოხტა ამხანაგი, წაართვა თოფი ძინარეს და ხიშტით მოჰკლა მეორე. ამ დროს მეორე ამხანაგმა დასტაცა მეორე თოფს ხელი და მეორე დარაჯიც იქვე მოჰკლა, რომელსაც ის იყო გამოღვიძებოდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, თუ რაში იყო საქმე. ჩვენ გამოვედით, ოთახი გარედან დავკეტეთ და ვიარეთ ყველამდინ თოვლში მეორე დღის გათენებამდე. მივედით ს. დიდვირში და იქიდან როგორც იყო გადავედით აბარაში. იქ ყველაფერი გავიგეთ, თუ რა ბედი ეწვია ახალციხეს. ჩვენ რომ არ დავბრუნდით უკან, ერთს გონებია, რომ ჩვენ მათ მხარეზე გადავედით.

აბარამ უფრო შეიგნო საქმის ვითარება, ვიდრე ფოცხოვის და ქობლანის რაიონის მცხოვრებლებმა. ფანატიზმი ხალხში არის, მაგრამ ხალხი მდგომარეობაში თანდათან ერკვევა და იქერს საქართველოს დემოკრატიის მხარეს. „საოსმალიმანო საქართველო“ ბათუმში გამოდის. გამანთავისუფლებელი კომიტეტი ენერგიულად მუშაობს. შორს არ არის ის დრო, როცა სამხლიმანო საქართველო ყოველი ჯარის და ყოველი ერის პროვოკატორებს ზურგს შეაქცევს და თავისუფლად შეუერთდება თავისუფალ საქართველოს“.

——

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. მარტის 2. (საკ. კორ.) ახალციხიდან ინგლისელების „ობოზს“ მოყვა 7 პირი, რომელთაგან ორი აბასთუმანიდან წამოსულებია. მოსულები ახალციხის მდგომარეობის შესახებ შემდეგს გადმოგვცემენ: ახალციხეში 12 თებერვალს შემოვიდა ფოცხოვის ჯარი, რომელსაც მეთაურობდა სერვერ ბეგ ქობლიანსკი, ხოლო სამხედრო მოქმედებას ხელმძღვანელობდა ოსმალი ოფიცერი, აწყურის და მისი მიდამოების ჯარების ყოფილი უფროსი —ლატიფ ბეი. ოსმალოს აფიცრები მრავლათ არიან ყარსის მთავრობის ჯარში. შემოსვლის უმალ დაიპატიჟრეს ყველა ადმინისტრატიულნი პირნი და მიილიცია, რომლებმაც გამოსვლა ვერ მოასწრეს. შემოსული ჯარი დაეტყვა უმთავრესად სამ პირს: ჰაიდარ აბაშიძეს, ლეო ტუბაძეს და ყადრ შერვაშიძეს. ეტყვი ჰქონდათ, რომ მათ მოლაპარაკებაში მუსულმანი გლეხობა, რისთვისაც ათაბეგოვის მთავრობამ სამჯერ დაიბარა დამფუძნებელ კრების კანდიდატი გლეხი ყადირ გვარამაძე. ერთ მოსულთაგანს აქვს ახალციხის მთავრობის მოწმობა, რომელიც დაწერილია შე დეგ ბლანკზე რუსულად: „კავკასიის სამხრ.-დასავლეთის ტერიტორია. ახალციხის და ახალქალაქის დროებითი კომისარიატი“. მოწმობაზე კომისარიატის თავმჯდომარე ათაბეგოვის ნაცვლათ ხელი უწერია რუსს ტომაშევიჩს, რომელიც წინად ოსმალეთთან მსახურობდა, ხოლო უკანასკნელათ მილიტაციისთვის ახალციხის ციხეში იჯდა. მოსულების გადმოცემით მაზრაში სრული ანარქია და ხალხს ძარცვავენ ბრბოები. ძარცვა გავრცელებულია თვით ახალციხეში. გაუძარცვავთ ცნობილი მემამულე ორბელიანი და სხვები. ამის გამო ქალაქში საალყო წესები გამოუცხადებიათ. ქართული სოფლებიდან ნაწილი მცხოვრებთა ახალციხეში გამოქცეულა. დანარჩენ სოფლებში ხალხი გაუძარცვავთ და მრავალი ამოუხოციათ. მოუკლავთ აგრეთვე მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე და ყველა ის მილიციონერები და ადმინისტრატორები, რომლებმაც მაზრიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს. ახალციხეში ჩამოსულნი ქართველები აუწერელ გაჭირვებას განიცდიან. ყარსის მთავრობის აგენტებს უმთავრესად ჰყავთ ფოცხოვიდან შემოყვანილი ჯარი და ნაწილი ძალათ გამოყვანილი ადგილობრივი მცხოვრებთა. გამრცხადებულია მობილიზაცია, ვინც წინააღმდეგობას უწევს, ხვრეტენ. უმრავლეს რაიონიდან ქალაქში შეწოყვანიათ 50 შეიარაღებული გლეხი, რომელნიც მეორე დღესვე წასულან თავის სოფლებში ძახილით „ხალხს გაუმარჯოს“. სჩანს, ავანტიურისტებს ყველა სოფლების აჯანყება ვერ მოუხერხებიათ. ახალციხეში დიდ როლს თამაშობს თურმე ბახში ბეგ მაჩაბელი, რომელსაც ჰყოლია 100 შეიარაღებული კაცი. ამბობენ, რომ ათაბეგოვსა და მაჩაბელს შორის უთანხმოება არისო. კომისარიატის შედგენაში სომხებს მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა ჯარში ჰყოლიათ ზოგი სომეხი აფიცრებიც. მთავრობა დაბინავებულა მაზრის კომისარიატში და იქ დარჩენილი ყველა საბუთები ხელში ჩაუდიათ მიწის მუშათა საბჭო, სადაც ხელუხლებელი დარჩა მაზრის გლეხთა საჭირობისთვის საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილი შაქარი, ნავთი და ფართლიუსლობა, სრულიად გაანადგურეს. საბჭოსთან ერთად ერთ შენობაში იყო მიწის მიმღები კომისიის, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის და საარჩევნო კომისიის საბუთები, რომელიც აგრეთვე გაუნადგურებიათ. ხელმეორე განადგურების შემდეგ ქალაქი აუწერელ სურათს წარმოადგენს. ბევრი მცხოვრებნი დაუხოცია. შარშან თურქების აოხრებას გადარჩენილი მინერალური წყლებით იშვიათი ბინები დაუგრეგიათ. ხოლო სასახლის კედლების გადარჩენილი ფაცერები წაუღიათ. ახალქალაქის მაზრის უფროსად დაუნიშნავთ იასონ ბეგ ფალავანდოვი. (საქ. დეპ. საგ.)

უკანასკნელი ცნობები

ფოთი. მარტის 1 დაარსდა და მოქმედება დაიწყო ჭანეთ ლაზისტანის განმანთავისუფლებელმა მთავარმა კომიტეტმა. ამ დღეებში მან გამოუშვა მოწოდება ლაზებისადმი. (საქ. დეპ. საგ.).

ბაკი (სამურზაყანო). ზუგდიდის მაზრაში საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ სამურზაყანოში გადავედით. იქ ჩვენი წინააწარ შეგეგზავნილ სწორ დმდეგო სურათი გადაგვეშალა. ანარქიის ეპოქანიც კი ამ არის, მთელი ხალხი საქართველოს დემ. რესპუბლიკაზური მთავრობის მხარეზეა. მობილიზაცია საუცხოოდ მიმდინარეობს. მოხალისეებიც ბლომათ მიდიან. ათასზე მეტი ძირძოლი გაემართა სოხუმისკენ სიმდერებითა და დროშებითა, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „სიკეთილი დენიკინს.“ „გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“! აფხაზთა სახ. საბჭოს და

ᲓᲦᲔᲡ

შესდგა ლაზისტანის განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც მოწოდებით მიმართა ლაზებს

ბალშევიკებთან ბრძოლის დროს ალაგირში მცხოვრები ქართველები დაარბიეს.

ხად. კობერთან, მთის გადადმა, ხროლაა. მოხამხახურეებმა შიშისაგან ხადგური დახტოვეს.

— —

ბალშევიკების ცნობით ინგლისის მთავრობამ აცნობა ბირმინგამის დეპუტატთა ხაბჭოს, რომ იგი მზათაა ცნოს ხაბჭოები, როგორც პროფესიონალური ორგანიზაციები და მათთან მოლაპარაკება გამართოს.

პორტუგალიაში რესპუბლიკა აღდგენილია. ჯარის მონარქიულმა აჯანყებულმა ნაწილებმა იარაღი დაბუარეს და მთავრობის ჯარს დანებდენ.

მოკავშირე ხახელმწიფოებმა ლვოვში კომისია გაგზავნეს უკრაინელებსა და პოლონელების შეხარიგებლათ.

გერმანიის ცენტრალური სოციალისტური რესპუბლიკა 26 მარტისთვის ბერლინში იწვევს ხაბჭოთა მეორე კონგრესს.

ერობის არჩევნები დასრულდა. სრული გამარჯვება ჩვენ პარტიას ერგო. ჩვენმა პარტიამ მიიღო 8,191 ხმა; ს. ფედ.— 914 ხმა; ერ. დემ.—251 ხმა.

შ. იოსელიანი.

პროფესიონალური კავშირების გზა

პროფესიონალური კავშირები ის კლასიური პროლეტარული ორგანიზაციებია, მათი მთავარი მიზანია ერთი პროფესიის ერთ მდგომარეობაში მყოფთ გაუმჯობესოს ეკონომიური პირობები. რომ კავშირმა მართლაც შესძლოს თავისი მოვალეობის პირნათლათ შესრულება, ყველა მუშა, მიუხედავათ მისი რწმენა შეხედულობისა, უნდა ჩაებას პროფესიონალური კავშირთა ბრძოლის ფერხულში და შეერთებული ძალით გამოსჭედონ თავიანთი მომავალი. ძალა ერთობაშია, ეთქვამს, ხალხს. ეს უბრალო ჭეშმარიტება ცხად ჰყოფს, რომ, სადაც ერთსულოვნება არის, იქ გამარჯვებაც უზრუნველყოფილია. ცხოვრებაში ბევრ წინააღმდეგობა იჩენს ხოლმე თავს. ბევრი გატაცებულები, ვითომ და ხალხის კეთილდღეობით, იქნობამდე მიდის, რომ დღესვე გვპირდებიან დაამყარონ კაცთა შორის სათნოება. ასე დაემართათ ბალშევიკებს, იგინი დაითვრენ სოციალიზმის იდეით და მოისურვეს დღესვე მისი დამყარება. სურვილი კარგი იყო, მაგრამ გზა კი ბრუდე და შედეგებიც თავლწინ გვაქვს: სოციალიზმის მაგიერ ანარქიზმი. ასე დაემართება ყველას, ვინც არსებულ პირობებს ანგარიშს არ გაუწევს. ჩვენდა საბედნიეროთ საქართველოში ასეთ ხალხს არ დაურჩათ ნიადაგი. ჩვენი ხალხი ვერ გაიტაცა ლამაზმა ფრაზებმა. ჩვენ დღეს ვამყაფთ რევოლიუციის მონაპოვრის შენარჩუნებით და თუ ჩვენც დაგვთრობს გამარჯვება, თუ ფიზიზლათ არ ვეძნებით მონაპოვარის სადარაჯოზე, ადვილათ შეიძლება დავკარგოთ რაც მოგვპოვებია. ბევრნი კავშირებში მუშაობას სულ სხვა მიზნით იწყებენ. მათი მიზანია კავშირები გამოიყენონ პოლიტიკური მიზნებისათვის. ეს კი კავშირების პირდაპირი დალუპვაა. კავშირებში არიან სხვადასხვა რწმენის ხალხი, სრულიათ უპარტიონიც. ამიტომ პოლიტიკას ადგილი არ უნდა ჰქონდეს კავშირებში. მისი მთავარი მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს მის კლასობრივ თვითცნობიერების გაღრმავებაში და მატერიალურ პირობების გაუმჯობესებაში. აი, ეს უნდა იყოს მისი მოქმედების ხაზი. ვინც ამ ხაზს გადასცდება, ის მიზანსაც ასცდება.

ამ მოკლე ხანში მოწვეული იქნება კავკასიის პროფესიონალური კავშირების ყრილობა. ყრილობის მოწვევის საკითხი აღძრა ბაქოს კავშირთა საბჭომ. მის გამოძახილს სიხარულით შეხვდა ადგილსრ. კომიტეტი. კავკასიის კავშირების კომიტეტში მაშინათვე დაისვა ეს საკითხი და ერთხმათ გადაწყდა: მოწვეულ იქნას კავკასიის ყრილობა. ყრილობა აქ მდესაც უნდა მოგვეწვიოს, მაგრამ საერთო პოლიტიკურმა პირობებმა არიეს მთელი ნორმალური მუშაობა კავშირებისა. ჩვენ თვალი ბაქოსკენ გვიჭირავს და ღრუბლის იქიდან საბწუხაროთ არა ხასიათოვნი ცნობები მოდიოდა. ღღეს, რადგან მოგვესმა გამოძახილი ბაქოდან, ჩვენც უნდა შეუდგეთ საქმეს. თუ ეს თვენახევრის წინ იყო ჩამოსული ბაქოდან ერთი ამ კომიტეტის წევრი, რომელიც გამოქეფულიყო იქ დ.ნ. მან განაცხადა: ახლა თითქმის ყველაფერი დანგრეული არის, კავშირები ალარც კი არსებობენო.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ მოხარული დავრჩით ბაქოს მოწოდებით ერთი მაინც ჩვენთვის გამოურკვეველი დარჩა. რატომ მათ არ მიმართეს იმ ორგანოს, რომელიც არჩეული იყო კავკასიის კონფერენციის მიერ. ოცდა ხუთ დეკემბერს 1917 წ. მოხდა კონფერენცია კავკასიის კავშირების, რომელმაც არჩია თავისი ორგანო და მისცა სახელმძღვანელო წესდება. ამ ორგანიზაციაში შედიოდნენ ექვსი წევრი ბაქოდან, რვა—თფილისიდან და 3 დანარჩენი პროვინციებიდან. ამათგან არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტში კი შედიოდნენ: ორი—ბაქოდან 5—თფილისიდან. ცენტრი იყო თფილისში. ნაცვლად იმისა, რომ მათ ამ კანონიერ ორგანოსთვის მიემართა სიუზდის მოწვევის შესახებ, არც კი აცნობეს და თვითონ შეუდგნენ სიეზდის მოწყობას. რატომ ასე მოიქცენ, ეს ჩვენთვის გაუგებრი იყო. მაგრამ ეს გაუგებრობა გაგვიფანტა ბაქოდან ჩამოსულმა ამხანაგმა, რომელიც ჩამოვიდა სიეზდის მოწყობის შესახებ. როდესაც ჩვენ შევეკითხეთ, თუ რათ მოიქცნენ ასე, მან განაცხადა: ცენტრი არ მუშაობდაო. როდესაც შევეკითხეთ: თქვენ რაღას აკეთებდით? ბაქოს წარმომადგენლები იქ ხომ ექვსიაკი იყავით, რატომ ერთხელ არაფერი გვაცნობეთ? მან გვიპასუხა: ჩვენ ადგილობრივ საქმეებზე ვიყავით დაბანდებულნი. პასუხიც ასეთი უნდა. თითქოს ჩვენ უსაქმოთ ვიყავით. ჩვენ ბევრ ჯერ მივწერეთ მათ, მაგრამ მათგანთ პასუხი ერთხელაც არ მიგვღია. შეგვპირდნენ, ჩასვლისთანავე ფული უნდა გამოიგზავნოთ. დღემდის კი არ გამოუგზავნიათ, თუმც ახლა გვითხრა—ათასი მანეთი გადმოგიგზავნეთო. თუმცა ჩვენ ჯერაც არ მიგვიღია. ამ გვარათ დაპირებები, რომ ცენტრს ენერგიულ დახმარებას გაუწევენენ, ჰაერზე ჩამოკიდებულ დარჩა ხაბჭოს დადგენილებით სამი პროფესიონალური მომუშავე უნდა ყოფილიყო აღმასრულებელ კომიტეტს. უსახსრობის გამო ვერც ერთი პროფესიონალი ვერ ვიყოლიეთ. შეძლების დაკვალათ წევრები მუშაობდენ. უსახსრობის გამოისობით ერთადერთი პროფესიონალური ჟურნალის გამოცემაც კი შეჩერეთ. ეს იცოდა ბაქოს ხაბჭომაც და იმის მაგიერ რომ დახმარება გაეწია ცენტრისთვის, ახლა გამომდგარა და იძახის ცენტრი ვერ მუშაობდა, ამიტომ ჩვენ მას ალარ ვსცნობთო.

მაგრამ დაუშვათ დროებით, რომ მართლაც ცენტრის უმოქმედობის ბრალი იყოს ეს ყველაფერი. ახლა რაღა საბუთი აქვთ მათ, როდესაც ცენტრი ამბობს: მოვიწვევთ სიეზდს, წარვსდგებით მის წინაშე და მან დასდოს ჩვენს მოქმედებას მსჯავრი. ისინი ამასაც უარყოფთ ეპყრობიან. მათმა წარმომადგენელმა ეს კატეგორიულათ განაცხადა. ასეა, ვინც სთქვა ანი, იმან ბანიც უნდა სთქვას. ისინიც ამ გზით მიდიან.

ცენტრი არ კარგავს იმედს, რომ ბაქოს ამხანაგები მიხვდებიან თავიანთ შეცდომას და შემოერთდებიან კავკასიის კავშირებთან ერთად ცენტრს საერთო საქმის საკეთებლათ, რომელიც უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას. ამ დღეებში გამოქვეყნებული იქნება სიეზდის დღის წესრიგი და ადგილი. მოუწოდებთ ყველა პროფესიონალურ კავშირებს მხარეველ ბონაწილეობა მიიღონ. მუშათა საქმე თვით მუშათა მარჯვენამ უნდა მოაწყოს. მუშათა სიძლიერე მუშათა სოლიდარობაშია და აქეთ ვეძახით ჩვენ ყველა შეგნებულ მუშას და მის ინტერესების დამცველთ...

ი. ბ.

დეპეშები

(საქართველოს დიპლომატიურ საგენტო)

8 მარტი*)

ᲛᲔᲠᲒᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

სამხრეთ უნგრეთში რკინის გზის მუშების გაფიცვის ჩასაქრობათ სერბიელები სასტიკ ზომებს იღებენ. ტემეშვარში რკინის გზის მუშებმა განაახლეს მუშაობა. დანარჩენები ისევ გაფიცული არიან და არ სურთ მუშაობის დაწყება სანამ უნგრეთის მართველობა არ დაწესდება.

ბერლინში მეუმრავლესი სოციალდემოკრატების კრებამ ერთხმად მოითხოვა პარტიული ყრილობის მოწვევა.

პრუსიის სამინისტრომ გადასწყვიტა, რადგანაც მიმოსვლა გაძნელებულია, პრუსიის კონსტიტუციონური ყრილობის მოწვევა გამოურკვეველ დრომდე გადაიდოს.

გერმანიის ცენტრალური სოციალისტური რესპუბლიკა 26 მარტისთვის ბერლინში იწვევს საბჭოთა მეორე კონგრესს. გერმანიის და გერმანულ ავსტრიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მიმართ მოწოდებაში სხვათაშორის ნათქვამია: გერმანიაში მდგომარეობის გართულება აუცილებლათ ხდის საბჭოთა მეორე კონგრესის მოწვევას. აუცილებლათ საჭიროა მოხდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ახალი არჩევნები, რათა კონგრესმა გამოხატოს მუშათა კლასის ნამდვილი სულიერი განწყობილება.

ბერლინის პირველი არმიის სარდალმა გამოუშვა შემდეგი ბრძანება მუშათა გასაფრთხილებლათ: „რადგან მეუნეს უპასუხისმგებლო პირების ზეგავლენით მოუწოდებენ საერთო გაფიცვებისა და გამოსვლებისაკენ, ამით მეორეთ ვცხადებ, რომ მთავრობისაგან აკრძალულია ქუჩებში თავის მოყრა და ყოველგვარი დემონსტრაციები, როგორი ხასიათისაც უნდა არ იყოს იგი და იარაღით გაჩეკენ დემონსტრაციებს.

შემდეგ „საარის თავდაცვის საზოგადოება“, რომელიც წინაალმდეგობას გაუწევს ფრანგების მიერ საარის ოლქის დაპყრობის განზრახვას. ხსენებული საზოგადოება თავის დეკლარაციაში აცხადებს, რომ ეს ოლქი ყოველთვის გერმანიას ეკუთვნოდა და ერთიან გერმანელებითაა დასახლებული. მხოლოდ ოლქის მინერალური სიმდიდრე და განვითარებული მრეწველობისადმი ინტერესის გამო განუზრახავს საფრანგეთს ოლქის შემოერთება, წინაალმდეგ ყოველივე საერთაშორისო უფლებისა.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲗᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ 2 მარტი. (დასაწყისი არ არის) ზემო ურალის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ზემო ურალსკის და სალეფეთით 110 ვერსით წინ წაიწიეს. უფის რაიონში, მდინარე ბეხუზე ტერეჯლი დავიჭერეთ. აღმოსავლეთით მტრის ყველა ციხეები მოვგერეთ. პერმის რაიონში მდ. ობვიზე ჩვენ ბრძოლით დავიჭერეთ კოროვინის შესართავი. მტერმა უკან დახია ჩქარიოლეთით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭერა.

ხარკოვი, მარ. 2. მეხნოს ბრიგადის საწინააღმდეგოთ მოქმედებს მოხალისეთა რაზმის გვარდიის ნაწილები. ჯარის სარდლობას ურს შეჰქმნა ნამდვილი ძველი რეჟიმის გვარდია. **რიგა,** მარ. 1. გაბსნა ლატვიის კომუნისტების პარტიის III ყრილობა. **ტილზიტი,** თებ. 25. „ტილზიტერ ცეიტუნგი“ იუწყება: „ტაიმსის“ ცნობას, რომ მოკავშირეები შეთანხმდენ დროებითი ზავის ახალ პირობების შესახებ, რომელსაც გერმანიას წარუდგენენ: გერმანიამ დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მოკავშირეებს 16 კრეისერი, 50 ნ ღმოანი და 42 გამანადგურებელი, ხოლო ყველა წყალქვეშები თავის დოკებით და ყველა სუბრო მასალებით 15 დღის განმავლობაში უნდა იქნეს განადგურებული. დამხმარე კრეისერებს იარაღი უნდა ეჭყარონ **ტილზიტი,** თებ. 25. მიუნხენიდან „ტილზიტერ-ცეიტუნგს“ ატყობინებენ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა დაავალეს მუშაიმს, ლანდაუერს და სხვებს შეადგინონ ბავარიის წითელი რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო. **რიგა.** თებ. 28 ვინდენის მაზრიდან იუწყებიან, რომ მუშები და გლეხები გრძნობენ რა მომენტის სიძნელეს, წითელ არმიის ნაწილებში ეწერებიან თეთრგვარდიელებთან საბრძოლველად. **კიევი** მარ. 1. კიევში ბუნდის კონფერენციაზე ვოლინის გუბერნიიდან ჩამოსული დელეგატი ქალაქ კოროტაშევის შესახებ გადმოგვცემენ, რომ ქალაქი ალ ნყებულ გლეხების და ჯარისკაცების ხელშია. ეტომირი გლეტიის სეჩენ კიბმა დაიცალეს. უკრაინის ჯარის ხელშია ქალაქის ყველა მისავალი. **ᲞᲔᲜᲘᲕᲐ** თებ. 23. პორტუგალიის მთავრობ ს ოფიციალური ცხობების თან ხმათ, პორტუგალიაში სრული სიწყნარე დამყარდა. რესპუბლიკა აღდგენილია. მონარქიულმა აჯანყებულ ნაწილებმა იარაღ დაყარეს და მთავრობის ჯარს დანებდენ. **ბერლინი,** თებ 24. გაზ. „ტაგი“ იუწყება: ბერლინსა და სპა ს შუა რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია. მატარებელი მხოლოდ ელბერფერამდე მიდის. **ბერლინი,** თებ. 23. მთავრობის ჯარმა ქალაქ განაწ დაიპირა. სპარტაკელების მეთაურები დაპატიმრეს. წ თელი ჯარის კავშირს იარაღი ეჭყარეს, თავმჯდომარე დაპატიმრეს. ბალაბში სამხედრო წესია. **ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢᲘ,** თებ. 22. ვიუტემბერგის მთავრობამ აკრძალა ყოველგვარი კრებები და დემონსტრაციები. **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ,** თებ. 24 „ფრეიციეტის“ ცნობით სამხედრო მინისტრი ნოსკეს განკარგულებით გამოცხადდა მობილიზაცია საზღვრების დასაცავათ. „ფრეიციეტი“ იუწყება, რომ კილში სოციალდემ. საერთო კრებამ პროტეტი გამოაცხადა ლიბკნეხტს და ლიუქსემბურგი საქმის გამოძიების გაგრძელების გამო, მოითხოვა განსაკუთრებულ საგამომძიებლო კომისიის დანიშვნა, რომელიც სასწრაფოთ გამოიძიებს საქმეს. **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** 24 თებ. „ფორვერტსი“ იუწყება, რომ მიუნხენში გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც 150,000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. დრო ებზე იწერა: „გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას, გაუმარჯოს საბჭ სისტემას, გაუმარჯოს პროლეტ. დიქტატურას და მსოფლიო რევოლიუციას“. დემონსტრანტებს მ ჰქონდათ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის სურათები. „ფორვერტსის“ ცნობით მთავრობის ჯარმა დაიპყრა ვატენშეიტი, ცენტრალურ გერმანიაში და სპარტაკელთა და დამოუკიდებელთა ბელადები დაპატიმრეს. **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** თებ. 26. „პრეისეში ცეიტუნგი“ იუწყება, რომ სილეზიის საზღვარზე ბრესლავში ჩიხები დიდძალ ჯარს უყრიან თავს. სხვა ცნობებით გლეიცისკენ 30000 ჩეხელი გაემართა, ვალდენბურგის ქვანახშირის მადაროების მიმართულებით. **ᲘᲐᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ.** 1 მარტი. ჩვენ მხარეზე გადმოდიან რუსეთის სანაპირო ოლქების მცხოვრებნი. გლეხები თეთრ გვარდიაში სამსახურს თავს ანებებენ და წითელ არმიაში ეწერებიან. **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.** თებ. 23 პარიზიდან ინგლისის გაზეთებს აუწყებენ: გამოძიებამ დაამტკიცა, რომ კლემანსოზე თავდამსხმელთ ჰაშონის მოკვლა ჰქონდათ განზრახული. დაპატიმრეს 8 სოციალისტი კიდევ, რომელთაც ბრალდებათ კომანსოზე თავდასხმაში მონაწილეობა. **ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ.** თებ. 23. ბავარიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს დიპუტატებმა მოითხოვეს ბავარიის წარმომადგენლების დამფუძნებელი კრებიდან გამოწვევა და გადაწყვეტის შეწყვეტონ ყოველგვარი დამოკიდებულება ებერტთან და შეიდემანთან. გადაწყვეტა შეიდგეს ბავარიის წითელი გვარდია. **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** თებ. 24 კასტროპში. რურის რაიონში შეტაკება მოხდა სპარტაკელებსა და მთავრობის ჯარს შორის. ორივე მხარეზე მრავალია მოკლული. ესენიდან იუწყებიან, რომ რურის რაიონში მილიონ ნახევარი გაფიცული მუშაა.

საზღვრის კონფერენცია

ᲨᲔᲠᲐᲜᲖᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ტერიტორიალურ კომისიების მუშაობის შესახებ გაზ. „ტანი“ შემდეგს იუწყება: 1) ბელგიის საქმეთა კომისია, რომელსაც ბელგიისადმი წარდგენილი ჰოლანდიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ საშუალების გამონახვა ჰქონდა დავალებული, ეხლა იხილავს 1839 წლის ტრაქტატს. შაბათს კომისია შეუდგა შლეზვიგის საკითხის განხილვას და მომავალ კვირაში მუშაობას დაამთავრებს, 2) რუმინიის საქმეთა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს აგრეთვე სამხრეთ სლოვენიის, ბულგარიის, ჩერნოგორიის და ალბანიის საზღვრების შესწავლა, გარდა ადრიატიკის ზღვის სანაპირისა, მუშაობას მომავალ კვირისათვის დაასრულებს. კომისია სამოლოოთ არ გადაწყვეტს რუმინიისა და სამხრეთ სლავეთის საზღვრების საკითხს. 3) საბერძნეთის საქმეების კომისიამ შაბათს შეიწყვეტა საბერძნეთის მოთხოვნილებანი და ამით დასრულა თავისი მუშაობა. 4) ჩეხო სლოვაკია საქმეების კომისია მუშაობას მომავალ კვირაში დამთავრებს. 5) პოლონეთის საქმეების კომისიის პირველი სხდომა შაბათს მოხდა ლონდონში. ეს ბრძანებენ, რომელნიც სამინისტროს შტატის შემცირების გამო უადგილოთ რჩებიან, სასსახური მიეცეთ თუ სამინისტროში არა, სხვა დაწესებულებებში მაინც.

◆ **ᲢᲣᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲐ.** 1 მარტს თფილისის საგუბერნიო № 1 საპყრობილეს ოფიციალური კომიტეტის არ ყოფნის დროს უკანონოდ გაუშვიათ კერძო სამუშაოდ ორი ტუსი—ასლანოვი და გაბრიანცი, რომელთაც ზედამხედველი ეუკავი გაყოლია. იმ ვე დღეს სამთავრონ მეექვსე კომისარიატის მილიციონერებს ტუტუნერებიათ და მილიციის უფროსის სამართველოში წაუყვანიათ. ტუსებს გზაზე გაქცევა განუზრახავთ, რისთვისაც გამყოლ მილიციონერებს სამთავრონ ტუტუნერებიათ.

◆ **ᲚᲔᲥᲪᲘᲐ.** 5 მარტს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექციაზე: ექ. ტურიაშვილისა—„ჰიგიენა“ და მიხ. შალამბერიძისა—„ქიმია“.

◆ **ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲐ.** გზათა სამინისტროს შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის თავჯდომარეს წინაშე, რათა იმ მოსამსახურეებს, რომელნიც სამინისტროს შტატის შემცირების გამო უადგილოთ რჩებიან, სასსახური მიეცეთ თუ სამინისტროში არა, სხვა დაწესებულებებში მაინც.

◆ **ᲢᲣᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲐ.** 1 მარტს თფილისის საგუბერნიო № 1 საპყრობილეს ოფიციალური კომიტეტის ბრძანებით ალ. ასლანოვი და გ. ბრიანცი, რომელთაც ზედამხედველი ეუკავი გაყოლია. იმ ვე დღეს სამთავრონ მეექვსე კომისარიატის მილიციონერებს დ ტუტუნერებიათ და მილიციის უფროსის სამართველოში წაუყვანიათ. ტუსებს გზაზე გაქცევა განუზრახავთ, რისთვისაც გამყოლ მილიციონერებს სამთავრონ დ ტუტუნერებიათ.

ამ საქმის შესახებ იუსტიციის მინისტრის განკარგულებით ფ ცხელი გამოძ ება სწარმოებს.

◆ **ᲮᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡ ᲙᲚᲐᲙᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ** შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინ სტროს წინაშე, რომ მილ ციის მთელი წლის ნახევარი ხარჯი 99 000 მანეთი, წ რსული წლის ხარჯთ აღრიცხვის მიხედვით, მიიღოს და საჩქ როდ გ ხ ნას კრედიტი, რადგანაც თვითმმართველობას არ შეუძლია ყოველ თვიურ დ დაკმაყოფილოს მილიცია, რაც უკმაყოფ ლებას წვევს მილიციასა და თვითმართველობის შორისო.

◆ **„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐ“.** ამ სახელწოდებით გამოვიდა ინგლისურ ენაზე გაზ მეორე ნომერი. გაზეთი მეთაურ წერილში ეხება თფილისის მუნიციპალიტეტს და პასუხს აძლევს იმ წერილს, რომელიც თფილისში გამოსულ ინგლისურ „ტრანს კავკასიონ პოსტ“ ში იყო მოთავსებული. გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე წერილები დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის, გერმანიის და შეერთებულ შტატების შესახებ. გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე ცნობა ინგლისიის მისიის მიერ გადმოცემული, რომ საქართველოს საზავო დელეგაციის წევრები საფრანგეთში მივიდნენო. თეატრსა და ხელოვნების განყოფილებაში მოთავსებულია ელისაბედ ორბელიანის რეცენზია ბ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ შესახებ.

◆ **ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲮᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ „ᲐᲦᲛᲠᲫᲔᲜᲘᲡᲐᲛ“** — გ ხსნა 1 მარტს, მე-11 გახყოფილება, ჩერქეზოვისა და მილიუტინის ქუჩის კუთხეში.

◆ **ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲐ.** 2 მარტს ღამით კანონიერ ბინაზე, არხ ბოვის შესახვევი № 2, ხუთი შეიარაღებულ ბოროტ გამზრახველებმა სიკვდილის მუქარით წაართვეს 81000 მანეთი ფულად, 60,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები და მიიმალნენ.

◆ **ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐ.** გლის დადების გამო დღეს გორში უკანასკნელად იგზავნება გაზეთები. კანტორა „განათლება“.

◆ ს. ს.-დ მ. ბ. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამხ. ხარებავას ხელით სამტრედიის ს. დ. კომიტეტისაგან დამფ. კრების ფონდისათვის 2 ათასი მან.

— საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი და ჟურნალ „ახალი კვალის“ რედაქცია მოთავსებულია მეოთხე რაიონული კოლექტივის გვერდზე (ოლდას ქ. № 29). დილა ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ოთხშაბათს, 5 მარტს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია კრება რიგაში საარჩევნო კამპანიისთვის გაგზავნილი ამხანაგებისა ს. დ. ცენტრალური კომიტეტის ბინაზე.

— 4 მარტს, სამშაბათს სრულ 8 საათზე ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე-8 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის საზოგადო კრება.

— —

ᲩᲣᲚᲣᲠᲔᲗᲘ. ჩულურეთი ერთ ჩამორჩენილ უბანთაგანია თფილისში. აქ არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება სამაგიეროდ, აქ მრავლად მოიპოვება ეგრეთ წოდებული ტრაქტირსასადილოები, სადაც ვინ მოსთვლის რა უწესოებას არა აქვს ადგილი, ცარცვა რბევას აქ ფართო აქვს ასპარეზი მოპოვებული. საკვირველია ასეთ მოვლენებს ჯერ ვ ნ ყურადღება მიაქციონ ვისაც ეს ეკუთვნება. აქ არსებობს საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის, მე 2 რე რაიონის მცირე კოლექტივი, რომელიც თითქმის სისტემატიურად მართავს კრებებს, როგორც პარტიის წევრებისას, აგრეთვე მოქალაქეებისას. კოლექტივმა სხვათა შორის განიზრახა პარტიული მუშაობის გარდა აწარმოვოს კულტურული მუშაობაც. ჯერჯერობით გადასწყვეტა სამკითხველოს გახ ნა, რომლისთვისაც უკვე ამოირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია ბინის გამოსანახად.

იმედია ამ ფრიად სასარგებლო და კულტურულ საქმეს თანაგრძნობით შეეგებებიან ჩულურეთის მოქალაქენი განურჩევლად ეროვნებისა და პარტიული მიმართულებისა. განსაკუთრებით კი, ზოგიერთი ამხანაგი ინტელიგენტი პარტიის წევრები, რომლებისთვისაც კრებაზედ დასწრება უცხო ხილია.

მკერვალი ნიკო.

ᲤᲘᲜ ᲜᲘᲗᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

გაზ თ „ნოვოსტი დნ

ბით გადაწყვეტა მიეცეს წინადადება ქალაქის გამგეობას და პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატს, რათა მათ მიეცეს ჯამაგირები შვიდი დღის განმავლობაში. ამავე დროს განმავლობაში უნდა მიღებულ იქნას წარდგენილი კოლექტიური ხელშეკრულება.

იმ შემთხვევაში, თუ 9 მარტამდე არ იქნა დაკმაყოფილებული ეს მოთხოვნილებები, მოსამსახურეები აცხადებენ საერთო გაფიცვას.

არჩეული იქნა გაფიცვის მომწყობი კომიტეტი, რომელიც 5 კაცისაგან შესდგება.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ რამოდენიმე მუშამ დემონსტრატიულათ დასტოვა კრება. გამოაცხადა რა პროტესტი ასეთი დადგენილების გამო.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულნი

თფილისში მოქმედი ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირი მიზნად ისახავს ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. მატერიალურად, კულტურულად, იურიდიულად, სამკურნალო და სხვა დახმარებანი—ეი მისი პრაქტიკული მოღვაწეობის სფერო. ამას გარდა კავშირი უწევს ხელმძღვანელობას მთავრობის მიერ მასზე გადმოცემულ საპროტეზო სახელოსნოს, რომელიც აწოდებს დასახიჩრებულთ ხელოვნურ ხელ ფეხს და სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის აპარატებს. კავშირი აგრეთვე ზრუნავს, რომ რაც შეიძლება იაფად უშოვოს და მიაწოდოს დაჭრილ-დასახიჩრებულთ პირველ-მოთხოვნილებათა უსაფროესი საგნები. კავშირთან არსებული შრომის ბიური უჩენს უმუშევართ სამუშაოს.

ომში დაჭრილ დასახიჩრებულნო! ჩაეწერინით წევრებათ თფილისის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირში, დარჩენენით მის გარეშემო, რათა მტკიცედ და ორგანიზაციულად შეეძლოთ საერთო ინტერესების დაცვა ნუ დაგავიწყდებათ, რომ ძალა ერთობაშია.

მისამართი: პლეხანოვის (ყოფილი მიხეილის) პროსპექტი № 139.

ვთხოვთ ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

თფილისის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირი.

გრძოლა გადამდეგ სენთან

(წერ. რედ. მიმართ.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქალაქის თვითმართველობამ გახ ნა ნავთლულში ყოფილ ფერშლების სასწავლებელში პარტ ტეული სახადის საავადმყოფო, რომლის მთავარ ექიმათ არის დანიშნული კონდრატე ანტ. კოჩენეკი, ამ საავადმყოფოში არის მოთავსებული სულ 250 საწოლი. მოსამსახურეების რიცხვის რაოდენობა კი აღწევს ასამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საავადმყოფოს ადმინისტრატიული, სამეურნეო და სანიტარული მდგომარეობა უფრო კარგათ იქნებოდა დაცული, რომ საქმე ხელმძღვანელობისა ამ საავადმყოფოს ენერგიულ და საქმისადმი მცოდნე დაუყოვნელ ბ. კოჩენეკს მიმართავენ კეთილი რჩევით საქმის ცოტათ თუ ბევრათ მოსაგვარებლათ, ის მადლობის მაგივრათ რისხვით უპასუხებს „არ დავიწყოთ მეთავარი ექიმი ვარ და როგორც ამგვარი სწავლება არაფრის ჭერადებ“-ო. ზედამხედველათ ამ საავადმყოფოში დ ნიშნულია პ. ჭელაძე, რომელსაც დიდი შრომა მოუძღვის ამ საავადმყოფოს საქმის მოწესრიგებაში; მოსამსახურეებში დიდმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი მთავარ ექიმ სადმი, მაგრამ ჭელაძის უნარიანობას უნდა მიეწეროს, რომ თანამდებობის აღსრულებაზე მათ მაინც გული არ უცრუვდებათ. დროთ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს, თორემ ძალიან ჩქარა ამ საავადმყოფოს უნუგეშო მდგომარეობაში დავინახავთ.

Გ. ᲮᲐᲤᲐᲚᲘᲙᲘᲫᲔ.

ᲣᲐᲥᲐᲠᲘ

გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: „28 თებერვლის გაზეთ „გრუზია“ ში (№ 46) მოწოდებულ წერილში სხვათა შორის ნათქვამია: „დადის მცხოვრებლებს შორის დაბეჯითებით ხმები, ვითომ ქალაქს თავის ფინანსიურ საქმეების გამოსასწორებლად გეეყიდოს აწეულ ფასებში შაქარი, რომელიც მიღებული ჰქონდა მცხოვრებლებზე დასარიგებლად.

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა ამით აცხადებს, რომ ეს ხმები არ შეეფერება სინამდვილეს. არც ერთი გირვანქა შაქარი არ გაუყიდნია სასურსათო განყოფილებას მაღალ ფასებშ. 1918 წლის განმავლობაში მცხოვრებლები შაქრით დაკმაყოფილებულნი არიან საფასებით, ან ცოტაოდენს გამონაკლისით.

თანახმად ქალაქის კოოპერატივთა კავშირის ხელშეკრულებისა 23 გიორგობისთვის 1918 წ., შაქრის ბარათებით განაწილება იკისრა მან, რომელიც ახლაც ანაწილებს შაქარს მცხოვრებლებზე სასურსათო განყოფილების მიერ გაცემულ ინსტრუქციების თანახმად. 27 თებერვალს ამა წლისა (№ 1891—2480) მთავარ სასურსათო საბჭომ საქართველოს რესპუბლიკისა ამცნო სასურსათო განყოფილებას, რომ მას შეუძლიან გადასცეს უკანასკნელს 5000 ფუთი შაქარი, რის განაწილებასაც უკვე შეუდგა ქალაქი მიმდინარე წლის 1 მარტიდან.

ამნაირათ, ის განსაზღვრული რაოდენობა შაქრისა, რომელიც ქალაქმა მიიღო სასურსათო საბჭოსაგან, უკვე დარიგებულია ან და რიგდება თანაბრად ყველა მცხოვრებლებზე, იმისდა მიუხედავათ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ფინანსიური საკითხი ქალაქისა; უკანასკნელი არას დროს არ გაჰყიდდა იმ განსაზღვრულ შაქრის რაოდენობას, რომელიც ეკუთვნის მცხოვრებლებს და უნდა იყნას განაწილებული თანაბრად და განმარტებულ ფასებში.

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲔᲒᲛᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

მიხეილის საავადმყოფო და საბეგმო ინსტიტუტი, როგორც საერობო სამკურნალო დაწესებულებანი, რესპუბლიკის ერობათა კუთვნილებას შეადგენენ. წარსულში ორთავე დასახელებული დაწესებულება ერობის თანხით ინახებოდნენ, თანდათანობით იზრდებოდნენ, უკეთესდებოდნენ და ეი დღეს არა ერთს და ორ მილიონის საფასურს განძს წარმოადგენენ, ვინაიდ ნ ეს ორი დაწესებულება ყველა ერობათა კუთვნილებას შეადგენს, რასაკვირველია, მათ ერობათა ცენტრი იურიდიულ პატრონად გაუხდება და მომავლისთვის მათ მდგომარეობას ასე თუ ისე გამოარკვევს. ჩვენის აზრით ორთავე დაწესებულების მდგომარეობა ისე უნდა მოიწყოს, რომ მათი სპეციალობით სარგებლობა ყოველივე ერობას შეეძლოს. თვითეულმა სამაზრო ერობამ, რაც უნდა კარგად მოაწყოს თავის სამზღვრებში საერობო მედიცინა, რაც უნდა ფართედ დააყენოს თავის ხალხის სპეციალური დოსტაქრული საბეგმო გ ნეკოლოგიური ტერაპევტიული, ბაქტერიოლოგიური და სხვა დახმარება ავადმყოფობათა ბევრს განსაკუთრებულ, გართულებულ შემთხვევებში მიხეილის საავადმყოფო და საბეგმო ინსტიტუტი უკანასკნელ გარდაწყვეტ ინსტანციებად იქნებიან საექსანიტარო დარგის საკითხებში. ეს ეფუცილებლათ ასე იქნება, რადგანაც ქ. თფილისი როგორც საუნივერსიტეტო ქალაქი, როგორც სხ. მეცნიერების, ისე სამკურნალო მეცნიერების ცენტრათ უნდა გადიქცეს მძიმე ავათმყოფს აზრი და იმედი მუდამ სამკურნალო მეცნიერების ცენტრისკენ იქნება მიმართული. ყოველივე შეგნებული ექიმი თვითეულ განსაკუთრებულ, გართულებულ შემთხვევას პროვინციიდან ცენტრს თავის დროზედ გაუგზავნის, რომ იქ ითქვას გარკვეული, ყოველმხრივ მეცნიერულათ დასაბუთებული „ან ჰო, ან არა“. მიუხედავათ იმისა, რომ ის ორი დაწესებულება წარსულში ერობათა თანხით ინახებოდა, მათი კარები ერობის ნამდვილი შვილებისთვის დახშული იყო. წარსულში იმ დაწესებულებით უპირველესათ ყოველისა რუსის მოხელეები, პოლიცია, ჟანდარმერია, ადგილობრივი მოჭილაქენი სარგებლობდნენ და ერობა კი არავის ახ ოდა ახლა, რასაკვირველია, მიხეილის საავადმყოფოს და საბეგმო ინსტიტუტის ავათმყოფთა შემადგენლობა სულ სხვა უნდა იყოს: ერობათა ავათმყოფები პირველ რიგში დაიპერენ ადგილს და მათ შემდეგ თავ ი ფ ლ ადგილების დაგვარათ სხვები მიჰ ე ბ ია ნ. ამით წარსულის უსამართლობა მომავლის სამართლიანობით შეიცვლება.

ერობათა ცენტრი თავისი საკუთარი თანხით, თუ მხედველობაში მივიღებთ ერობებს ეკონომიურ უმწეო მდგომარეობას, მიხეილის საავადმყოფოს და საბეგმო ინსტიტუტის შეახვეს ვერ შეძლებს. ამიტომ სრულიად მისაღებია ერობებისთვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინადადება რომ ერობამ დაუთმოს მას დასახელებული დაწესებულებანი კლინიკების მოსაწყობად. უნ ვერსიტეტი უპირველეს ყოვლისა ერის, როგორც კულტურული ერთეულის და მის სულიერი სიმდიდრის მაჩვენებელია, ამიტომ, რასაკვირველია, უნივერსიტეტის არსებობის საქმე ყოველის მხრივ უნდა განმტკიცდეს. ერობის მხრივ—მიხეილის საავადმყოფოს და საბეგმო ინსტიტუტ ს უნივერსიტეტისთვის კლინიკებათ დათმობა თვალსაჩინო დახმარება იქნება. ჩვენის აზრით ერობათა ცენტრმა ასეთი პირობით უნდა დაუთმოს უნივერსიტეტს საავადმყოფო და ინსტიტუტი: ერობა ორთავე დაწესებულებაში თავისი ხარჯით: 1) იქონიებს განსაზღვრულ რიცხვს საწოლებისას სხვა და სხ. სპეციალურ განყოფილებაში და 2) იყოლიებს სამეურნეო უფროსებს და უფროს ექიმებს.

საავადმყოფოს და ინსტიტუტის უფროსი ექიმი პროფესორებთან შეთანხმებით კლინიკების უფროს ორდინატორების ან ამავე კლინიკების პრივადოცენტების თანამდებობას ადასრულებენ, თუ, რასაკვირველია, მათ შესაფერისი სამეცნიერო ხარისხი ექნებათ. მაშასადამე მომავალში საავადმყოფოზე და ინსტიტუტზე ერობის ხარჯ განისაზღვრება საწოლების განსაზღვრული რიცხვის წლიური ღირებულებით და სამეურნეო ზედამხედველობის და უფროსი ექიმების ჯამაგირებით. საავადმყოფოს და ინსტიტუტს დანარჩენი შტატი, მათი შენახვა, შენობების და ავეჯის შეკეთება და სხ. მიმდინარე ხარჯები—ყველა უნივერსიტეტისა იქნება. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ერობა ჩვენში განმტკიცდება და ეკონომიურად გ ლონიერდება, მაშინ, რასაკვირველია, თვითონვე შესძლებს საავადმყოფოს და ინსტიტუტის შენახვის და უნ ვერსიტეტს ჩამოართმევს. იმ დროსთვი უეჭველია უნივერსიტეტიც თავის საკუთარ კლინიკებს აიშენებს. ეი ჩვენის აზრით ახლო მომავლისთვის მიხეილის საავადმყოფოს და საბეგმო ინ ტიტუტის არსებობის საკითხი ერობამ ასე უნდა გადასჭრას, ვინაიდან, ერთის მხრივ, უნივერსიტეტის მნიშვნელობა და, მეორეს მხრივ—ერობის ინტერესები ამას მოითხოვენ. გარდა ამისა დაყენებული საკითხის ასე გადაჭრას მოითხოვს რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა, რადგანაც სახელმწიფოს არ შეუძლიან ახალი კლინიკების მოსაწყობად უნ ვერსიტეტს საჭირო თანხა მისცეს. რაც შეიხება იმ ფუნქციებს, რომლებსაც მ ხეილის საავადმყოფო და საბეგმო ინსტიტუტი ასრულებენ: ავადმყოფთა წამლობა, მშობიარეთა დახმარება, ბებია ქალების მოამზადება და სხვა—ყველა ეს ფუნქციები, რასაკვირველია, კლინიკებს დაეკისრებათ და დარწმუნებული ნი უნდა ვიყვეთ, რომ სამკურნალო ფაკულტეტი თავის კლინიკებით უფრო ღირსეულათ და მეცნიერულად შეასრულებენ ყველა ჩამოთვლილ სპეციალურ საქმეებს.

ᲔᲥ Ი. ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘ.

ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ

დღე მიიწურა, ტახტზე დაჯდა შავ პირი ზანგი,
სახეტიალოდ გამოვედი ფართე ქუჩებში,
ავყევ-დავყევი, შევირეე ხალხის ქუჩებში,
და კვლავ იმედით შეიმოსა ნატირი ჩანგი.

———

აქ ტანჯვის ციცხლი ხმაურობდა და ბრძოლის ჰანგი,
ვით ზღვის ტალღები, გუგუნებდა და იშლებოდა.
მეტს ვერ ითმენდა კაცის ჭკუა და იშლებოდა:
სურდა გულიდან მოერეცხა შ.შ-ძრწოლის ჟანგი.

———

და დაჭკა კიდეც და დაცვინდა ძირს ბორკილები:
გათავისუფლდენ სამუდამოთ ხელ ბორკილები.
სიცოცხლის სიმი აწკრიალდა. მოკვდა წამება.

———

და გულს, დამწვარსა სევდის ალით, დამდნარს წამებით,
შხამ-სამსალა სმულს მრავალ წლობით, განა წამებით,—
ნიტარების მზემ გაუცინა, მოხვდა ამება.

Გ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ.

ᲓᲔᲙᲐᲜᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპუტათა საგანგებო)

2 მარტი.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მარტის 1. ტლაშინის მიმართულებით ლატვიის წითელმა ნაწილებმა 10 ვერსით უკან დაიხიეს. სუვალკის მიმართულებით, ვილნოს დასავლეთით, ლატიშთა ჯარმა შალუნტი და დ ბა ი ოიცნი დაიპ რა. **ᲮᲐᲛᲑᲠᲘᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ.** დონეცის რაიონში ბახმუტის ჩრდილო დასავლეთით ჩვენმა ჯარ ა კონსტ ნტინოვკა დასტოვა. ალმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა ბარანოვკაია დაიპ რა. ლუგანსკის სამხრეთით მოწინააღმდეგემ ჩვენი ჯარი შეავწროვა. ლუგანსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ სადგური კრასნოვკა დავსტოვეთ. მილეროვოს მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ჩირსკის რაიონში ჩვენ ვერხნე ჩირსკაია დავიპერეთ. **ᲐᲚᲛᲝᲜᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ.** აქტიუბინის მიმართულებით ჩვენმა მზვერავმა რაზმმა სადგური კურაილი დაიპ რა. სტერლიტამაკის რაიონში და პროკბრატინსკის ქარხანასთან ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგის სურსათი იგდო ხელში. სარაპულის რაიონში კრასნოუფიმის რკ ნის გზაზე შეტევა გრძელდება. რკინის გზის ორივე მხარეზე ჩვენ სოფლები დავიპერეთ. ოს ნის რაიონში მდინარე ტუბოვისაკენ მივ წევთ. პერმის რაიონში ჩვენმა ჯარმა რამოდენიმე სოფელი დაიპ რა. უკრაინის წითელმა ჯარმა დიბენკოს სარდლობით ს. პრუსაკი და ცარიკონსტანტინოვკა დაიპერა. ხელთ იგდეს ზარბაზნები, მტრის დროშა და მრავალი ტყვე წამოიყვანეს. **ᲝᲠᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ,** თებ. 28. ბაშკირის საბჭოთა მთავრობის ჯარმა აქტიური მოქმეთავმჯდომარეს და დეპუტატებს. ვენა, თებ. 22 ბუდაპეშტში 3000 კომუნისტის დემონსტრაციი ეცადა სოციალისტ-პატრიოტების გაზეთის რედაქტორის ხელში ჩაგდებას. დემონსტრანტებსა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა, 100 მეტი მოკლული და დაჭრილია, დაპატიმრეს რამდენიმე კომუნისტი და რამდენიმე გერმანელი, ჩეხელი და რუსი ბალშევიკები. **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ,** თებ. 28, ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ვილსონმა განკარგულება მოახდინა მურმანის რაიონიდან ამერიკის ჯარი გაწვეულ იქნეს. **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ,** თებ. 21 მარშალ ფოშმა გერმანიის კითხვაზე პასუხი გასცა, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა სამხედრო საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ეხლა ლაპარაკიც შეუძლებელია გერმანიის სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. **ᲞᲠᲐᲒᲐ,** თებ. 19. ჩეხოუნგრეთის ფრონტზე სამხედრო მოქმედება შესწყდა. **ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ,** თებ. 21. ბელოსტოკში გერმანელებმა პოლონელებთან ხელშეკრულება დასდეს, რომლითაც მათ ევალებათ ბელოსტოკზე პოლონელების ჯარის გაშვება ლიტვის ფრონტზე. რკინის გზა, ტელეგრაფი და ტელეფონი პოლონელების ხელში გადადის. **ᲕᲘᲚᲜᲝ,** 1 მარტი. ბელოსტოკის მდგომარეობა გაზეთების ცნობით ცუდია ქალაქში რბევა და პოლონელი ლეგიონერები თარეშობენ. პარტიულ კლუბებში ჩხრეკა და დაპატიმრება ხდება. **ᲛᲘᲜᲡᲙᲘ,** 1 მარტი. ბელორუსიის ცენტრალურ-მა აღმასრულებელმა კომიტეტმა დეკრეტი გამოსცა ბელორუსიაში სასოფლო სამეურნეო სპეციალისტების მობილიზაციის შესახებ. ლატვიის არმიის შტაბი. თებ. 28. ვოლმარის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა რეპეკლნი დაიპერა. მარიენბურგის მიმართულებით ჩვენმა 5 წილებმა ალტ-ანენგოფი დაიპერა. მარი ნბურგის სამხედრეთით სადგურ კონენმოიზი დაიპერა. **ᲑᲔᲚᲐᲘᲐ ᲪᲔᲠᲙᲝᲕᲘ,** 28 თებ. პეტლიურას ჯარმა ბელაია ცერკოვის რკინის გზა გაანთავისუფლა და დასავლეთისკენ იწევს. დაბა სავიბრე უკვე გაანთავისუფლეს. **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ,** მარ. 2. გზათა სახალხო კომისარმა გამოაცხადა, რომ ამ ჟამად იმუშავებენ სამგზავრო მატარებლების შეჩერების გეგმის, სათბობ მასალის და სურსათის შემოზიდვის გასაადვილებლათ შეჩერებულ იქნება მიმოსვლა უმთავრესად სამრეწველო ქალაქებთან და ახლოვებული რკინის გზებზე. **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ,** თებ. 22. კლემანსოზე თავდასხმის შემდეგ მოკავშირენი ცდილობენ მაღე მოაწერონ სანავო ხელშეკრულებას ხელი. **ᲩᲠᲜᲘᲜᲒᲝᲕᲘ,** 28 თებ. რევოლიუციონერი მოძალობა ხერსონის გუბერნიაშიც დაიწყო. პეტლიურანი და მოხალისეთა ჯარები აჯანყებულებს უერთდებიან. დენიკინი მათ წინააღმდეგ ჯარს გზავნის. ხერსონის გუბერნიაში დენიკინმა 18 და 19 წლიანების მობილიზაცია გამოაცხადა. ჯარში გასაწვევი მუშები და გლეხები გარბიან. გაქცეულებს აპატიმრებენ.

ᲠᲝᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ლემბერგში (ლვოვში) გაემგზავრა პოლონელებისა და უკრაინელების შესარიგებლად მოკავშირეების მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც სხვათა შორის შედის დელეგატათ ამერიკელი პროფესორი ორდი.

ამერიკის მ სიის უფროსმა პოლონეთში პოლკოვნიკმა გრეგსმა, რომელმაც ნ კვირაში პოლონეთი დაიარა, მოკავშირეთა კომისიას მოხსენება წარუდგინა პოლონეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. მისი სიტყვით შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რამდენი სურსათი პოლონეთში, რადგან გლეხები მიეჩვივნენ სურსათის მალვას რუსების და გერმანელების ოკუპაციის დროს, როცა ეს უკანასკნელნი ყველაფერს ართმევდნენ გლეხებს კანონიერის თუ უკანონო საშუალებით და სხვ. ბევრი აღმოჩნდა ზოგიერთი სურსათ-სანოვაგე, განსაკუთრებით კომბოსტო, ხახვი და ერბო, პური, ლუდი და ყოველგვარი სანოვაგე ძალიან ძვირია, რაც ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს ლარიბ ხალხს. ტანისამოსის დიდი სიმცირეა. მთელ პოლონეთში სრულიად არ მოიპოვება მატყლი და ტილო. ფეხსაცმელების შოვნა ძნელია და წარმოუდგენლათ ძვირი ღირს. საჭიროა, რაც შეიძლება მაღე დაიწყოს ნედლი მასალის შემოზიდვა, რათა აღდგენილ იქნეს ფართოდეულობის დამზადება და საქმე გაუჩნდეს ხრავალ ათას უმუშევარ დამშეულ ხალხს. გერმანიიდან ჩამოსულ ლტოლვილ პოლონელებს ყოველდღე აძლევენ ბინას და საკვებს. ვარშავაზე უკვე გაიარა 600,000 ლტოლვილმა და კიდევ მოდიან.

სამხედრო სამინისტროში დღეს შესდგა მოკავშირეთა წარმომადგენლების ჩვეულებრივი სხდომა, რომელზედაც პირველ რიგში იმსჯელეს იმ კომისიის მუშაობის პროგრამაზე, რომელიც ამას წინად დაინიშნა ნეიტრალურ ქვეყნებში. საზღვრების რთულ საკითხების გასარკვევლათ წარმოადგინეს პირობები, რომლის თანახმადაც შესაძლებელია ბელგიელთა მოთხოვნილებანი მხედველობაში იქნეს მიღებული. შემდეგ მოისმინეს ვერსალის უმაღლეს სამხედრო სამსჯავროს წარმომადგენლების აზრი ტრანსილვანიაში რუმინეთის და უნგრეთის ჯარების შუა ნეიტრალურ ზონის შექმნის შესახებ. სომხეთის მოთხოვნილებები წარმოადგინა სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარემ აგარონიანმა და ჰოლოს ნუბარ ფაშამ.

ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

28 თებერვალს დიუსელდორფში მთავრობის ჯარი შევიდა და სადგურები დაიპერა. სპარტაკელების მეთაურები დაიმალენ. მრავალი სპარტაკელი მანც დაპატიმრეს. ხელთ იგდეს იარაღები და საბხედრო მასალა. მცხოვრებნი გახარებულნი არიან ტერორისაგან განთავისუფლების გამო.

მიუნხენში ბავარიის საბჭოს ჯერ არავითარი ახალი გადაწყვეტილება არ მიღებულა. 28 თებერვალს ნაშუადღევს ადგილი ჰქონდა გამოურკვეველ სამწუხარო მოვლენას. უნტერლეიტნერის სიტყვის შემდეგ დარბაზში, სადაც სხდომა იყო, შეცვივდა 15—20 ჯარისკაცი ამოღებულ რევოლვერებით და მუქარით დაიწყეს ყვირილი „ხელები ასწიეთ“. სპარტაკელების ბელადნი დ-რი ლეგინი და მიუზმი დაპატიმრეს და წაყვანეს, მაგრამ შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს. ამ შემთხვევამ, ჯარისკაცების წასვლის შემდეგ სხდომაზე გამოიწვია მეტადარი გაბოლაშქრება. დაინიშნა საგამომძიებლო კომისია. სოციალდემოკრატების უმრავლესობამ უარყო დამოუკიდებელთა წინადადება საბჭოთა სისტემის შემოღების შესახებ. წინადადება აუქმებს ლანდტაგის სუვერენიტეტს, ეწინააღმდეგება დემოკრატიას და არ გვაძლევს პოლიტიკურ თავისუფლების გარანტიას.

ნიურენბერგის გარნიზონმა განაცხადა პროტესტი მიუხენის უმცირესობის დიქტატურის წინააღმდეგ.

ლეიპციგში მდგომარეობა ჯერ ჯერობით უცვლელია. საერთო გაფიცვები და აგრეთვე კონტრგაფიცვები მოქალაქეებისა გრძელდება. მუშათა გაფიცვების მომწყობი კომიტეტი ემუქრება პასუხისგებაში მიცემით გაფიცულ ექიმებს, თუ მათი კონტრ გაფიცვის გამო ავადმყოფები ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. შემდეგ ისინი იმუქრებიან, რომ საავადმყოფოებს დაიპერენ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები. საავადმყოფოების მოსამსახურეს დაითხოვენ, თუ ისინი განაცხადიბენ, რომ ვერ შეინახავენ ავადმყოფებს და ახალ მოსამსახურეებს მოიწვევენ. სასურსათო დაწესებულების კონტრ გაფიცვების ცუდი გავლენის მოსპობის მიზნით გაფიცვებს მომწყობი კომიტეტი ადარ დაანებებს სურსათს. ამაზე ლეიპციგის ქალაქის კომიტეტმა განაცხადა, რომ ყველა სასურსათო დაწესებულებანი არ ემსრობა ქალაქის მცხოვრებთა კონტრ გაფიცვებს, რაც აუწყეს კონტრ გაფიცვების მომწყობთ, ასე რომ სიცრუეა, თითქო მცხოვრებლებმა ძალათ გაფიცეს სასურსათო აწესებულებები იმ მიზნით, რომ შეძლონ დაეთესათ მუშათა კლასსა და ამ დაწესებულებების შორის. მოლაპარაკების დასაწყებათ ბელლეში დელეგატები გაიგზავნა.

ცნობა, ვითომ გერნში საერთო გაფიცვებია, არ მართლდება. ყველა სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციებმა და მუშათა მასის წარმომადგენლებმა უარყვეს საერთო გაფიცვები. აგრეთვე უარყვეს გაფიცვები გილდესვიგეში. სხვა მაღაროს მუშებმა გადასწყვიტეს მუშაობის განახლება.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

27 თებერვლის ხალამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მიხეილიძე, პრეზიდიუმს წევრი თალაკვაძე კითხულობს პრეზიდიუმის მიერ მომუშავებულ პლატფორმას, რაც დამტკიცებულ იქნა კონფერენციის მიერ.

შემდეგი საკითხი არის მოხსენებები: ცენტრ. კომიტეტისა, სარედაქციო კოლეგიისა და საკანტროლო კომისიისა. მოხსენებას აკეთებენ ს. მიხეილიძე (ც კ.), გ. ბგელაძე (ს. კ.) და დ. თევზაძე (საკ. კ.) მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია:

„მოისმინა რა კონფერენციამ მოხსენება ცენ. კომ., სარედ. კოლეგიისა და საკანტროლო კომისიისა და გაეცნო რა ანგარიში, თუ როგორი პირობებში უბდებოდა მუშაობა მათ, კონფერენცია სრულიად დაკმაყოფილდა მათი მუშაობით, მადლობას უცხადებს მათ და გადადის მორიგ საკითხზე“.

მეოთხე დღეს მორიგი საკითხია მიმდინარე მომენტი. მომხსენებლად გამოდის არჩ. მელქანარიშვილი. მისი მოხსენება შესდგება ორი ნაწილისაგან. თეორიული და პრაქტიკული. მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. მონაწილეობას ღებულობენ: კალანდარიშვილი, დუდუჩავა, სიხარულიძე, ნუცუბიძე. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია, წარმოდგენილი ძოხსენებიდან.

„საერთაშორისო პირობები და ეკო-

ნომიური განვითარების ტენდენცია მოითხოვს ნაციონალური სახელმწიფოების დაარსებას და შიგ დემოკრატიის გამბატონებას, რომლის ავანგარდი არის პროლეტარიატი, რაც საუკეთესო ფორმაა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლისა და მის სამოლოო ემანსიპაციისათვის. საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებობა, რომელსაც ჰმართავს მუშათა კლასის მიერ ნდობით აღჭურვილი დემოკრატიული მთავრობა, არის პროგრესიული მოვლენა. მთავრობა ეყრდნობა რა მთელ დემოკრატიას, დამფუძნებელ კრების სახით წარმოდგენილს ატარებს ცხოვრებაში ინტერნაციონალურ დემოკრატიულ პოლიტიკას, როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროებში და მიჰყავს ქვეყანა დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ, რის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო დემოკრატიის საშუალებით და ინტერნაციონალის აღდგენით და აქეთკენ მიმართული უნდა იყვეს ყველა ერის პროლეტარიატის მთელი ძალები".

მეცადინეობის გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა დ. ლომთათიძემ.

კონფერენციის მიერ პრინციპიალურად მიღებულ იქნა მეცადინეობის ის სქემა, რომელიც წარმოადგინა მომხსენებელმა. გეგმის გადამუშავება მიენდო ცენტრალურ კომიტეტს.

მიმდინარე საკითხებში განხილულ იქნა: 1) საწევრო გადასახადის შესახებ, 2) წევრთა გარიცხვა, 3) პროცენტების შესახებ.

საწევრო გადასახადს იხდის წევრი სხვადასხვა ორგანიზაციებში ისე, როგორც ამას თვით ორგანიზაცია გადასწყვეტს.

მუხლი წევრთა გარიცხვის შესახებ გადმოტანილ იქნას პარტიის წესდებიდან.

პროვინციელ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ, თუ კი ამის საჭიროებას დაინახავს, შექმნან მათ სამაზრო ან სარაიონო კომიტეტები.

საწევრო გადასახადიდან, რომელიც შედის თვითეულ ორგანიზაციაში, მოვალეა აქედან გადმოგზავნოს ცენტრალურ კომიტეტში 30 პროცენტი.

ამით ამიერ-კავკ. ახალგაზ. მარქსისტ. ორგანიზ. მეორე კონფერენცია დაიხურა. ამხ. არ. მექანარიშვილი მცირე ხნის შემდეგ ხსნის საქართველოს ახ. მარქ. ორგ. დამფუძნებელ კონფერენციას. ირჩევენ წინანდელ პირებს პრეზიდიუმში. კონფერენციამ დაამტკიცა ყველა რეზოლიუციები, რომელიც წინა კონფერენციამ მიიღო. ხდება არჩევნები ცენტ. კომიტეტისა. დასახელებულ იქნა 13 კაცი. 7 თფილისიდან, 6 პროვინციიდან.

თფილისიდან: მიხეილიძე, თალაკვაძე, ყიასაშვილი, გაბილაია, მგელაძე, ტუღუში, კვირიკელია. პროვინციიდან: მიქაძე, დუდუჩავა, ჩიტაიშვილი, ჭუმბურიძე, ორაგველიძე, ლეკავა. მათ კანდიდატებად: წულეისკირი, კალანდარაშვილი, ჩაჩუა, ბერიშვილი, ტაბიძე, ცინცაძე. საკანტროლო კომისია: ჯალალონია, სხილაძე, თევზაძე, ლომთათიძე, ხაინდრავა, კვაჭანტირაძე, ხელაძე.

„ინტერნაციონალის" სიმღერით კონფერენცია დაიხურა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ოთხი დღის განმავლობაში კონფერენცია ენერგიულად მუშაობდა. ყველას ეტყობოდა ერთგვარი ხალისი, გულმოდგინეობა, ხალისი მუშათა კლასის საკეთილდღეოდ ბრძოლისა, რაც იმედს გვაძლევს ერთგულ და თავგანწირულ მუშაკების რაზმების შექმნისას მომავალში.

ვ. ბანელი.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 20 თებერვალს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. კოლექტივმა სხვა კითხვათა შორის მოისმინა პარტიის წევრ ლაფაჩიძის საქმის საგამომძიებლო კომისიის მოხსენება და მიიღო შემდეგი მის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია: „1919 წელს 12 თებერვალი. ოქმი იოსებ ლაფაჩიძის და საბურთალო ახალშენის 20 პარტიულ წევრების საქმის შესახებ—ყველა იმ საბუთების და ცნობების ძალით, რომელიც გამომძიებელ კომისიას უჩვენეს ორივე მოპირდაპირე მხარემ, კომისიას არა აქვს შეძლება ბრალდება წამოუყენოს რომელიმე მხარეს—ამიტომ კომისიას საჭიროთ მიაჩნია ეს საქმე მოსპობილათ ჩაითვალოს.—კომისიის წევრნი: გ. მაჭავარიანი, ი. მესხი, მ. ბერეტიანი".

27 თებერვალს, ამხ. რ. ჩიხლაძის თავმჯდომარეობით შესდგა ამავე კოლექტივის მორიგი სხდომა. განხილულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) კოლექტივის არჩევნები, 2) მოხსენება ცენტრიდან, 3) სამეურნეო კომისიის მოხსენება, 4) პარტ. წევრ. ნ თოთიბაძის საქმე, 5) პარტ წევრ მურვაშვილის შესახებ, 6) საბურთალოს მცირე კოლექტივის განცხადება.

პირველი საკითხის შესახებ კოლექტივი ადგენს: მოხდეს ახლო მომავალში კოლექტივის ხელ-ახალი არჩევნები. ანგარიშების შედგენა და მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენა ევალება ამხ. გ. მაჭავარიანს და ქოლექტივის მდივანს. მეორე საკითხის შესახებ სხდომამ მოისმინა ამხ. ნ. ჩიხლაძის მოხსენება თფილისის კომიტეტის უკანასკნელი რიცხვების მუშაობის შესახებ და მიიღო მხედველობაში. სამეურნეო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. ბერიტაშვილი, რომელიც მოკლეთ აცნობს სხდომას სამეურნეო კომისიის მუშაობას და რადგანაც მუშაობა ამ დღეებში დაიწყეს, და შესაძლებელია მუშათა კლუბის გახსნა, იძლევა წინადადებას არჩეულ იქნან სამი პირისაგან შემდგარი კომისია განსაზღვრული უფლებით, რომელიც მოწყობს საღამოსასწავლო გახსნას. მეოთხე კითხვის შესახებ მდივანი აქვეყნებს საბურთალოს მცირე კოლექტივის სახელით ამხ. ელ. გიორგობიანის განცხადებას, რომელიც სთხოვს კოლექტივს კვირას საბურთალოში მოწვეულ ახალშენის მცხოვრებთა კრებაზე მიმდინარე მოხენტზე მოხსენების წასაკითხათ გაიგზავნილ იქნას მომხსენებელი. სხდომა სთხოვს ამხ. რ. ჩიხლაძეს გააკეთოს მოხსენება, რის შემდეგ სხდომა იხურება. ხ—კი.

მუშათა ᲝᲠᲘᲡ

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ მუშათა ასოციაციის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ოზურგეთის მუშათა ასოციაციის გამგეობასთან ერთად 23 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: 1) დაევალოს ვარლამ კალანდარაშვილს წავიდეს და მოიგვაროს კონფლიქტი ნატანების ხერხის ქარხნის მუშებსა და ქარხნის მეპატრონე ნაკაშიძეს შორის. 2) ცნობილ იქნას კანონიერათ და ნორმალურათ ლანჩხუთის კოოპერატივის მრსამსახურეთა მოთხოვნილებანი და დაევალოს ვარლამ კალანდარაშვილს მიაღებინოს კოოპერატივის გამგეობას მომრიგებელი კომისიის საშუალებით, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს გაფიცვას. 3) დაევალოს ლუკა ჩაველეშვილს აღძრას შუამდგომლობა შრომის სამინისტროში—ოზურგეთის სამაზრო შრომის კომისარის მოვალეობის დაწესების შესახებ, რომლის კანდიდატათ დასახელებულია ვარლამ კალანდარიშვილი. 4) გამართოს ახლო მომავალში ქალაქ ოზურგეთში მუშათა სალამო დიდი პროგრამით. განზრახულია: რეფერატის წაკითხვა, დეკლამაცია, სიმღერა, ჩონგური, გიტარა, მანდალინა, ცოცხალი სურათები ხალხთა ლიგის იდეის გარშემო, ამისათვის შედგენილ იქნა საღამოს მოსწყობი კომისია 17 პირთაგან შემდგარი.

მდივანი **ლ. ჩაველეშვილი.**

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ᲒᲝᲠᲘ. 24 თებერვალს შესდგა გორის ქალაქის ხმოსანთა პირველი სხდომა. კრება გახსნა ქალაქის თავის მოადგილემ პ. ჯაფარიძემ და მოკლე მისალმებს შემდეგ სთხოვა საბჭოს აერჩიათ პრეზიდიუმი.

სოც. დემ. ფრაქციის წინადადების თანახმათ, პრეზიდიუმში შესდგა სამი პირისაგან: თავმჯდომარე, მისი ამხანაგი და მდივანი.

ჯამაგირი დაენიშნა თვეში, პირველს 500 მ., მეორეს—300 მ. და მესამეს—500 მ.; თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. მიხეილ სპირიდონის ძე კობერიძე (სოც. დემ.); მის ამხანაგათ სიმონ როსების ძე მაჭავარიანი (სოც. ფედ.) და მდივნათ ვარლამ მიხეილის ძე გოგუა (სოც. დემ.). სოციალ დემოკრატთა ფრაქციის სახელით დეკლარაციას კითხულობს ამხ. მ. კინწურაშვილი.

ეროვნულ-დემოკრატთა ფრაქციის სახელით ხმოსანი ზ. ქიტაიშვილი აცხადებს, რომ მათი ფრაქცია ყოველივე სოციალისტური ექსპერიმენტების წინააღმდეგი იქნებიან და ჩაუდგებიან მათ ოპოზიციაში.

სხვა ყოველივე კითხვებში ქალაქის სასარგებლოთ და მისი მცხოვრებთა საკეთილდღეოთ ერ. დემ. ფრაქცია ჩაებმება მუშაობაში სხვა პარტიებთან ერთად.

სოც. ფედერალისტების ფრაქციის სახელით ხმოსანმა ვ. ეგნატაშვილმა განაცხადა, რომ მათ საბჭოს სხდომის შესახებ უწყებები გვიან მიიღეს და ამის გამო ვერ ვერკვევითარ დეკლარაციას ვერ წარმოადგენენ. შემდეგ სხდომის მიერ იქნა გამოტანილი შემდეგი დადგენილებები:

1) ქალაქის თავს დაენიშნოს ჯამაგირი თვეში არა ნაკლებ 1500 მანეთისა. 2) საკითხი ქალაქის თავის არჩევის შესახებ დროებით ღიათ დარჩეს. 3) გამგეობა უნდა შესდგეს სამი წევრისაგან; თვითოეულს ენიშნება თვეში 1200 მან. 4) გამგეობის წევრებათ არჩეულ იქნენ: 1. ჰ ჯაფარიძე, 2. ალ. ჩუთქერაშვილი და 3. აბ. ტერსტეფანოვი. (სამივე სოც. დემოკრატებია). 5) არჩეულ იქნა აგრეთვე სარეკომენდაციო კომისია ხუთი პირისაგან შემდგარი, რომელშიაც შედიან დ. მელიქაძე, მ. ჯავახიშვილი, ალ. ჩუთქერაშვილი, ს. მაჭავარიანი, ზ. ქიტაიშვილი. დანარჩენი საკითხების გარჩევა გადაიდო შემდეგ სხდომისთვის.

ვალიკო.

ᲠᲐᲭᲐ. შინაგან საქმეთა მინისტრს რაჭიდან თფილისში ჩასულმა ამ. გამყრელიძემ შემდეგი მოხსენება წარუდგინა: ამისთანა განსაცდელ და გაჭირვებულ მდგომარეობის დროს, როდესაც ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას მოელის საფრთხე და ლამობენ ყოველ მხრიდან ჩაყლაპონ ხალხის დიდი ხნის მოპოვებული თავისუფლება, შეიძლება დრო არ იყოს სხვა წვრილმანებს მივაქციოთ ყურადღება, მაგრამ ზედეტათ არ მიმჩნია მოგახსენოთ თქვენ, როგორც უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელს, ის აუტანელი მდგომარეობა, ის გაჭირვება, რომელსაც დღეს განიცდის მოელი მაზრა და მეტადრე კი ზემო რაჭის ნაწილი. ღვთისანაბარათ მიტოვებულია ეს კუთხე და ყველა ისე მოქმედობს, ისე სურს, ისე იქცევა, არა, როგორც ამას ითხოვს საზოგადო ინტერესი, არამედ—როგორც მას კერძოთ მოეპრიანება.

მე მოგახსენებთ იმ სენზე, იმ ავადმყოფობაზე, რომელიც მოედო დღეს მთელს მაზრას, და რომელიც მუსრს ავლებს ხალხს და ამ დროს კი ხალხისათვის საეკმო დახმარება, წამლობა, საშუალება არსაიდან არ არის.

რაჭის სოფლებში ხშირათ ასეთ სურათის მოწაწენი ვხვდებით. პატარა ხის სახლში, უპერო და უიატაკო, ძირს პირდაპირ მიწაზე წვანან ორი, სამი და ხშირადვე მეტიც ავადმყოფნი ერთად. ძირს უგიათ თივა, ზედ კი საბნის მაგიერ ახურავთ ძველი ძონძებისაგან შეკრული, რადაც ნაფლეთები. ტანზე ხშირათ არაფერი არ აცვია და ღიღინენ ყოველგვარი მკბენარი მათ სხეულზე. სახლში ქარი თავისუფლათ დასეირნობს, მაგრამ მაინც საშინელი აუტანელი სუნი სდგას.

ხშირათ გლეხის უკულტურობის მიზეზია, რომ გვერდს უხვევენ ექიმების დარიგებას, მიმართვენ ხოლმე სოფლის მარჩიელ მკითხავებს. ნივთიერათ დაქვეითებამ და ამ საარაკო სიძვირემ საშუალება აღარ მისცა გასწიოს აუცილებელი ხარჯი, იქირაოს ცხენი, მიიყვანოს ექიმი, იყიდოს წამალი, მოუაროს ავადმყოფს და სხვა.

ამასაც მოგახსენებთ, რომ მართალია ერობის ხელში უნდა გადავიდეს ხალხის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, მაგრამ ერობის მუშაობა ჯერ რაჭაში სრულებით არ დაწყებულა, როდის იწყება არ ვიცით და მანამდე კი, თუ ასე გაგრძელდა, მთელს მაზრას მოელის დიდი გასაჭირი ავადმყოფობის მხრივ, ვინაიდან თუ რაჭის ჰაერის და ჰავის პირობების მიხედვით ამ სენმა იჩინა თავი ზამთარში, ძნელი წარმოსადგენია, თუ რა იქნება შედეგათ გაზაფხულზე, როდესაც, როგორც ჰაერი, ისე პირობები უფრო ხელს შეუწყობს ავადმყოფობის გავრცელების ხალხში.

X.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ.

ხელოვნების ახალი ჟურნალი „თეატრი და მუსიკა".

მარტის შუა რიცხვებში ქუთაისში, იოსებ ასლანიშვილის რედაქტ. გამოვა ყოველთვიური მდიდრულათ დასურათხატებული ხელოვნების ჟურნ. „თეატრი და მუსიკა". ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: აბაკელია გრ., ამირეჯიბი შ., არაყაშვილი დ. (კომპოზიტორი), აფხაიძე შ., ბალანჩივაძე მ. (კომპოზიტორი), გაფრინდაშვილი ვ., გვეტაძე რ., გრიშაშვილი ი., გუდიაშვილი ვლ. (მხატვარი), გუნია ვ., დადიანი შ. (თფილ. კავ. დასის რეჟისორი), ზალცმანი ა. (თფილ. სახელმწიფო თეატრის მხატვარი), კლდიაშვილი დ., იაშვილი პ., იმედაშვილი ალ. (ქუთ. დრ. დასს მსახიობი და რეჟისორი), ლორთქიფანიძე ნ., ლუჩიაშვილი გ. (მხატვარი), მესხი გრ. (მხატვარი) მიქელაძის ასული მ. (მხატვარი), მჭედლიშვილი ი., ნიკოლაძე ი. (მოქანდაკე) თაყაიშვილი ე., ტაბიძე გ., ტაბიძე ტ., ფალიაშვილი ზ. (კომპოზიტორი), ფალავა ა., ფოცხვერაშვილი კ. (კომპოზიტორი), ცირეკიძე ალ., ქიქოძე შ.—Chalico (მხატვარი), ქორელი მ. (ქუთ. დრ. დასის რეჟისორი), ჩიანელი დ., ჩხიკვაძე ზ., წულუკიძე ა. (თფილ. სახ. თეატრის კომისარი), ჯაბადარი გ. (ქარ. დრამატ. სტუდიის ხელმძღვანელი), ჯორჯიკია ჯ., ყიფიანი ივ., ჭიაურელი მ. (მსახიობი და მხატვარი), ჟურნალის რედაქციის მისამართი: ქუთაისი. ქალაქის თეატრი. რედაქცია „თეატრი და მუსიკა".

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

რედაქციამ მიიღო თავდაცვის ფონდის სასარგებლოთ—ევგენი ძიძიგურის ხელით 4047 მან. და 64 კაპ. აღნიშნული ფული შეგროვდა 21 თებერვალს სამტრედიაში, ეს დღე სამტრედიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ გამოაცხადა თავდაცვის დღეთ და ზემო აღნიშნული ფული შეგროვდა. საბჭო მადლობას უცხადებს შემომწირველთ და ამ პირთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა შეგროვებაში.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ მე მინადორა ესტატეს ასულმა მარშანიამ ამ საფულე, რომელშიაც იყო ფულად ორმოცი თუმანი და ნასყიდობითი ქაღალდი (ადგილ ნასახლარისა) ქრისტაფორე მარშანიასაგან. მპოვნელს ვთხოვ ფული დაიტოვოს და ის საფულე და ნასყიდობითი ქაღალდი დაგვიბრუნოს. მისამართი: თფილისი ერთობის უბანი, სახლი ნასყიდოვის. მინადორა მარშანიას ასული.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ შემთხვევით მოწყალობილი სასადილო. ადრესი: წყნეთის ქუჩა № 26. სახლი ვაჩნაძისა. (1—1)

ᲔᲥᲘᲛᲘ

კ. თ. ᲢᲧᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲮᲐᲛᲭᲨᲠᲐᲚᲝ ᲥᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘ

მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესასვლელი ბელგიის ქუჩიდგან—აფთიაქის პირდაპირ **ვენერიული, კანი, სიფილ.** (606 და 914 შეშხაპუნება) **შაშარდე და სახეზე ორგანოთა სნეულებანი.** საღამოს 5—7 საათ. (25—2)

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ

გ. გ ᲛᲔᲒᲠᲐᲒᲘᲐᲜᲪᲘ

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიგებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝᲒᲘ ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ

ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს სპეციალურად—**ბალარიით** (ციება), და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სახსლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით** და სხვა **შინაგან სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოსი 4—6 საათამდე. ელექტრიზაციით. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზუმელის აფთიაქის ახლოს.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

იღებს **ფენერიულ** სნეულებიან ავადმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ 14—28.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲐᲒᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗ

(მუდმივი საწოლებით)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲝᲜᲜᲘᲜᲘᲡᲐ

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „პოლოს" ახლოს) მძიმე ავადმყოფები და ოპერაციები მიიღებიან **სრულ პანსიონში.** ტელეფ. 5—96.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ Დ. Ა. ᲨᲐᲨᲕᲐᲜᲘ.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და სასშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობითი მიღება დილით. მისამ: ოლდის ქ. № 33.

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ

ᲗᲕᲗᲥᲠᲜᲘᲡ ᲮᲐᲣᲭᲐᲠᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲪᲮᲝᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡ

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ნ. გ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორლანოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ

დ. ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ. № 41, ტელ. № 14—60.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲥᲐᲚᲘ

რ. გ. ᲨᲘᲨᲚᲝ-ᲡᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მედიცინის დოქტორმა ენენვის უნივერსიტეტისა და ეკატერინგრადის შედეკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ** ავადმყოფთ და იძლევა საბანი დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—28.

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲓᲝᲠᲝᲕᲘᲩᲘ

მიიღეს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფების. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7. ქსენოფონტეს ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—16)

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ი. Გ. ᲙᲝᲜᲘᲔᲕᲘ

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ. № 3.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ შემთხვევით

წისქვილის **ᲫᲕᲘᲜᲘ** საუკეთესო ხარისხის, **ᲮᲘ-ᲢᲣᲜᲘᲡ** მასალა სხვადასხვა ზომის.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲐᲢᲝᲠᲘ

35 ძალ. 190 ვოლტ ცვლადი ტოკის. ვერის დედაფრთი ქარხანა ბაკურაძისა. (1—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს წიგნთ საცავში

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ახლად შედგენილი და გამოცემული წიგნი

„Сборникъ законовъ, инструкцій и разъясненій по Министерству Земледѣлія".

შედგენილი მიწათ-მოქმედების სამინისტროს იურისკონსულტის ნაფიცი ვექილის ლ. გ. ასათიანის მიერ. ცალი ღირს 7 მანეთი. (1—1

ᲒᲐᲗᲣᲨᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲭᲝ

ამით აცხადებს, რომ ბათუმის ქართული

ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

და სწავლა დაიწყება ხუთშ ბათს, 6 მარტს 1919 წლისა. ამ თვეთვე იქნება შვიდი კლასი. ვაკ ნსიები ბრის ყველი კლასში, გარდა მეორისა. სწავლის ფული 200 მანეთი ნახ. წლისთვის. მასწავლებელნი და მოწაფენი უნდა გამოცხადდენ სასწავლებელში (ბაღის ქ, ელიავას სახლი) დილის 9 საათზე (ინგლისური დროით).

P. S ის მოწაფეები, რომლებიც ამ ექიმად სწავლობენ საქ. რეპუბლიკის გიმნაზიებში და პირდაპირ გადმოდიან ბათუმში, ვალდებული არიან წარმოადგინონ თავიანთი სკოლის უფროსის მოწმობა, რომლითაც ის ნი მიიღებიან გამოუცდელად იმავე კლასში. დ ნარჩენის გამოცდა მ ღების დროს. (1—1)

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

საოპერო დასე ს. ი. ევდახიშვილის ხელმძღვანელობით.

სამშაბათს, 4 მარტს, სანანიეგას, სარაჯიშვილის და ვრონსკის მონაწილეობით

„ᲪᲠᲐᲕᲘᲐᲢᲐ"

ოთხშაბათს, 5 მარტს, შულგინას, ხორინას, სარაჯიშვილის, ნაშვილის, ისეკის დემიანენკოს მონაწილეობით **„ᲓᲔᲛᲝᲜᲘ".**

სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზ. გამგეობა

ამით აუწყებს მოქალაქეთ, რომ ბათომის ოლქის საჭიროებისათვის **ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ**

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ ᲐᲐᲠᲡᲔᲑᲡ ᲓᲘᲓ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲡ

გამგეობა სთხოვს ყველა მოქალაქეთ, ვის რითაც შეუძლია ბიბლიოთეკის საქმეს დახმარება აღმოუჩინოს.

ბიბლიოთეკა შედგება განყოფილებებისაგან შემდეგი:

1) ისტორიული ბროკრეფ უში (ანანიკ ავარ ქიბუ ეთ ს შესახებ).
2) აღმოსავლეთის საკითხები.
3) ბელეტრისტიკა.
4) ფილოსოფია, ბუნების მეტყველება და პედაგოგიკა.
5) საყმაწვილო წიგნები.
6) იურისპრუდენცია.

შეიძლება წიგნებით შემოწირულების მიღება:

ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: 1) ქართ. საქ. საზოგ. მთავარ გამგეობაში. სასახლის ქ. № 5 და ეკრეოვის ყველა განყოფილებებში. გამგეობა იყიდის აგრეთვე ქარგი წიგნებს ასევე შემდგარ მზა ბიბლიოთეკასაც.

(3—2) **სამუსლიმანო საქართველოს საქველმ. საზ. გამგეობა.**

სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ბათომის ქალაქის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებში მეცადინეობა ამ მიმდინარე ხანში დაიწყება. ჯერ ჯერობით გაიხსნება 9 სკოლა. საჭიროა გამოკვლევა მასწავლებლებისა, აგრონომები და დედაკაცები, პირობები დაახლოებით შემდეგია: მასწავლებლებს თვეში ჯამაგირი 600 მანეთამდე ბინით და გათბობა განათებით. აგრონომებს სასმელ საჭმელ ზე გათბობა განათებით 400 მანეთამდე თვეში.

ᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ძველი გამგეობაში, სასახლის ქ. № 5. **ᲓᲐᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲣᲗᲘ ᲘᲡᲛᲐᲘᲚ ᲗᲔᲗᲖᲐᲫᲔᲡ.**

თხოვნაში უნდა აღინიშნოს მთხოვნელის სწორი მისამართი.

(3—2) **ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ.**

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲑᲐ

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ორშაბათს მიმდინარე წლის 6 მარტს დღ ს 12 საათზე გამგეობის თანადასწრებით

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲭᲠᲝᲒᲑᲘᲗ

იჯარით გაიცემა ხუდადოვის ქუჩ. მდებარე საბუდკი ადგილები. კონდ ციებისა და ყოველივე ცხობების ფიღება შეძლება სამეცადინო საათებს დროს საიჯარო საადგილმამულო განყოფილებაში (სერგიევის ქ. № 4). (3—3)